# ლელო

№ 103
(11 252)

29 დეკემბერი - 4 იანვარი, 1999 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


გილოცავთ!



19 99

## საქართველოს 1998 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი

ჟურნალისტთა რჩეული



1. გიორგი ასანიძე (ძალოსნობა) – 307 ქ.



2. კობა გოგოლაძე (კრივი) – 290 ქ.



3. ელდარ კურტანიძე (თ/ჭიდ.) – 192 ქ.



4. ნესტორ ხერგიანი (ძიუდო) – 184 ქ.



5. დავით პოღოსიანი (თ/ჭიდ.) – 157 ქ.



6. გიორგი კანდელაკი (კრივი) – 144 ქ.



7. ვლადიმერ სტეფანია (კალათბ.) – 129 ქ.










8. ხვიჩა ბიჩინაშვილი (ბ/რ. ჭიდ.) – 83 ქ.
9. ალექსანდრე იაშვილი (ფეხბურთი) – 81 ქ.
10. გიორგი რევაზიშვილი (ძიუდო) – 78 ქ.

XII

## თვის მონაგარი

## ახალ წელს ქართული სპორტი გაკოტრების პერსპექტივით ელოდება

აკი, ვწერდით: ქართულმა სპორტმა წლევანდელი წლის სპორტული სეზონი ფაქტობრივად ვადამდე, ნოემბერში დაასრულა და ეს იყო იძულებითი ნაბიჯი, მიზეზი კი უსახსრობა გახლდათ. როცა ვალს ვალები ემატება, ჯერ იკვეთება საგანგაშო კონტურები, ბოლოს კი საქმე გაკოტრებამდე მიდის. ასეთია საბაზრო ეკონომიკის ულმობელი კანონი. სავალალო კი ისაა, რომ ეს უბედურება შეიძლება ჩვენს ეროვნულ ფენომენს, ქართულ სპორტსაც ეწიოს და აქამდე რითაც თავს ვიწონებდით, ალბათ, სირცხვილად გვექცევა ქვეყანაში, სადაც ტალანტებს, ცხადია სპორტულ ტალანტებს არაფრად ჩააგდებენ, ეგოიზმსა და მომხვეჭელობას გაუმარჯვნია და ეგ არის. ღირებულებათა გადაფასების იმ მავნე პროცესის თვითდინებაზე მიშვება კი უთუოდ კატასტროფამდე მიიყვანს. დეკემბერი შეიძლება ითქვას, ამ თვალსაზრისით სწორედ რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ცივი ომის თვე იყო. ერთმანეთის მიყოლებით გაიმართა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოს სხდომა, ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და სეოკ-ის სესია. ცხადია, ყველგან დომინირებდა მსჯელობა ქართული სპორტის აწმყოსა და მომავალზე, გადაულახავ პრობლემებზე, მაგრამ ერთი რამ მაინც აშკარად შეიმჩნეოდა — ეს არ იყო გამოტირება, ქართულ სპორტის მესვეურებს კიდევ აქვთ რაღაცის იმედი, ხელისუფლებაც თავს დარცხვენილად გრძნობს, თუმცა, კარგად იციან, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისამდი გაგებით მიდგომის „ლიმიტი“, ჩვენ სპორტულ სამყაროში კარგა ხანია ამოიწურა. ასე რომ, დეკემბერი, ფაქტობრივად, თეორიულად იყო სპორტული თვე, თუმცა, რაღაც შესაძლებლობებით ჩვენ წყალბურთელთა ახალგაზრდულ ნაკრებს მაინც მოუხერხებია „გაძრომა“ და რუსეთის ღია პირველობაში პირველი წრე მეორე ადგილით დაუმთავრებია. ამ თვის პირველ დეკადაში ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო კიკბოქსინგის ოსტატმა გიგა კორძაძემ. თვის ღირსსახსოვარი მოვლენა უთუოდ იყო თბილისში, ვაკის რაიონში ნოდარ ახალკაცის სახელობის ბავშვთა საზაფხულო-საზამთრო ხელოვნური სათამაშო მოედნის გახსნა. და კიდევ ერთი: ამ ათიოდე დღის წინ მოხდა მოვლენა, რომელიც შეიძლება ახალ მოძრაობად იქცეს, თუკი, ცხადია, ისეთივე კეთილი ნება იქნება, როგორიც ეს მაისურაძეების საგვარეულომ გამოაამჟღავნა. ამ საგვარეულომ დააფინანსა ქართულ ჭიდაობაში ფალავნები, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია.

ამ თვეში სპორტულმა ფედერაციებმა დაასახელეს 1998 წლის თავიანთი საუკეთესო სპორტსმენები, მწვრთნელები და მსაჯები, თავიანთი რჩეულები გამოავლინეს აგრეთვე საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა, სპორტის არაოლიმპიურ სახეობათა ეროვნულმა კომიტეტმა და ჟურნალისტებმა.

## თვის საუკეთესო სპონსორი – გია აბესაძე

ცხადია, დეკემბრის საუკეთესო სპონსორად ქართულ წყალბურთელთა ხელის გამმართავთ მივიჩნევდით ან კიდევ გია კორძაძის დამფინანსებელს ან მაისურაძეების საგვარეულოს, მაგრამ ის, რაც სეოკ-ის სესიაზე დაფიქსირდა, ვფიქრობთ, ყველას და ყველაფერს აჭარბებს, თანაც იგი არაერთჯერადი, არამედ, ასე ვთქვათ, ხანგრძლივია და იქნებ მუდმივიც კი. „ლელო“ უკვე წერდა ამ ფაქტის თაობაზე. როცა სეოკ-ის სესიაზე გამოვიდა საქართველოს შსს სამედიცინო სამსახურის უფროსი, საქართველოს სპორტული მედიცინის ფედერაციის ახალარჩეული პრეზიდენტი გია აბესაძე და განაცხადა, რომ ამიერიდან საქართველოს ყველა ოლიმპიელს უფასოდ მოემსახურება ხსენებული სამინისტროს სამედიცინო სამსახურის დაწესებულებები. დაგვეთანხმებით, რომ მართლაც უდიდესი და დროული თანადგომაა. დაგვეთანხმებით ალბათ იმაშიც, რომ სწორედ ბატონი გია აბესაძე უნდა ვაღიაროთ ამ თვის საუკეთესო სპონსორად.

## „ლაგუნა-ვერე“ შეიძლება გაჩერდეს...

ეს არასასიამოვნო ინფორმაცია გუშინ შევიტყვეთ. „ლაგუნა-ვერე“ ერთადერთი საწყლოსნო კომპლექსია ჩვენს ქვეყანაში, რომელიც აქამდე, მთელი 20 წლის განმავლობაში თითქმის შეუფერხებლად მუშაობდა, თუ არ ჩავთვლით სამი თვით იძულებით გამოკეტვას 1993 წლის ზამთარში. ახლა კი კომპლექსი კვლავ გაჩერების პირასაა მისული, რაც ეკონომიკური სიდუხჭირით აიხსნება – შემცირდა შემოსავლები, ამას დაემატა ენერგომატარებლების გაძვირება, ლარის კურსის დაცემა...

რჩება ერთადერთი გამოსავალი – ეროვნულმა ბანკმა გასცეს დაბალპროცენტიანი სესხი. მთავარია, კომპლექსმა როგორმე ეს ზამთარი გადაიტანოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაკვდება სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა, რითაც ქართული სპორტიც გამოუსწორებლად დაზარალდება.

საკუთარი ინფორმაცია

## დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით საქართველოში სპორტის განვითარებისა და საწვრთნელი ბაზების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის საქართველოს ოლიმპიური რეზერვების სასწავლებლის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე ***ავთანდილ კორინთელი*** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

## „ლელოს“ გამოკითხვით

*„ლელოს“ რედაქციამ გამოკითხვა ჩაატარა გაზეთის ჟურნალისტებსა და სპეციალისტებს შორის 1998 წლის ათი საუკეთესო სპორტსმენისა და სამი საუკეთესო სპორტული კოლექტივის გამოსავლენად. შედეგები ასეთია:*

1. კობა გოგოლაძე (კრივი)
2. ვახტანგ ჯავახაძე (მკლავჭიდი)
3. ელდარ კურტანიძე (თავ. ჭიდაობა)
4. დავით პოღოსიანი (თავ. ჭიდაობა)
5. ნესტორ ხერგიანი (ძიუდო)
6. ხვიჩა ბიჩინაშვილი (ბ/რ ჭიდაობა)
7. კახი კალაძე (ფეხბურთი)
8. გიგა კორძაძე (კიკბოქსინგი)
9. ნინო ხურციძე (ჭადრაკი)
10. ალექსი დავითაშვილი (ქართ. ჭიდაობა).

სამი საუკეთესო სპორტული კოლექტივი
1. საქართველოს მკლავჭიდელთა ნაკრები
2. საქართველოს სპორტული დელეგაცია მსოფლიოს პირველ ახალგაზრდულ თამაშებში
3. საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები.

## თავდასხმა მოლარეზე

გუშინ, დაახლოებით 13 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის მოლარესთან შევიდა სამი ახალგაზრდა, თითქოს ისინი სპორტსმენები იყვნენ და სტიპენდია ჰქონდათ ასაღები. როცა მოლარეს მათთვის გვარები უკითხავს, თავდამსხმელებს კარები ჩაუკეტიათ და იარაღის მუქარით მოუთხოვიათ მთლიანი ფული. მოლარეს ყვირილი აუტეხია, რის შემდეგ ბანდიტებს ოთხჯერ ჩაურტყამთ თავში ბლაგვი საგანი (შესაძლებელია იარაღი) და გაქცეულან.

მოლარე სასწრაფოდ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც 7 ნაკერი დაადეს, დაზარალებულს აღენიშნება აგრეთვე სისხლჩაქცევა.

## „დინამო“ ძლიერდება და... მოსკოვში წასვლას უაროზბს

ქვეყნის უცვლელი ჩემპიონის თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს შვებულება დაუმთავრდათ და დილმის ბაზაზე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისათვის მზადებას შეუდგნენ.

გუნდის შემადგენლობა ძირფესვიანად შეიცვალა და რაც დრო გავა, ეტყობა, ტრანსფერების რაოდენობა უფრო გაიზრდება. ამას გვაფიქრებინებს კლუბის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელ რომან შოთაძესთან, მთავარ მწვრთნელ მურთაზ ხურცილავასთან და თავად ფეხბურთელებთან საუბრებიც. „დინამოს“ მოთამაშეებს ახლა სამ ჯგუფად დავყოფდით.

***1. ფეხბურთელები, რომელთა ტრანსფერები უკვე განხორციელდა.*** პირველ ყოვლისა, რასაკვირველია, დავით ყიფიანთან, ბელგიურ „მეჰელენში“ გადასულ ტრიოზე ვიტყვით – ნახევარმცველები გიორგი კიკნაძე, ლევან ცქიტიშვილი, თავდამსხმელი ლევან ხომერიკი. როდესაც „ლელოს“ მკითხველებს მათი გამგზავრების ამბავი შევატყობინეთ, იმედი გამოვთქვით, რომ „მეჰელენი“ მათთვის სხვა, უფრო ტიტულოვან კლუბში გადასასვლელი ტრამპლინი გახდება. ისე ყველაფერი აგიხდეთ – უკვე ხელმოსაწერად გამზადებული ყოფილა ცქიტიშვილის „ფრაიბურგში“ გადასვლის კონტრაქტი.

***2. ფეხბურთელები, რომელთა მომავალიც ჯერჯერობით გაურკვეველია.*** ამ ჯგუფში შედიან მეკარე დავით გვარამაძე, მცველი გივი დიდავა, ნახევარმცველი დავით მუჯირი. მათ საქართველოში დარჩენა აღარ სურთ, თუმცა ვერც უცხოური კლუბი მოუძებნიათ. როგორც გვითხრეს, ამ ფეხბურთელების მომავალი დღე-დღეზე გაირკვევა.

***3. დამრჩენები.*** სხვა მოთამაშეები თავის უახლოეს მომავალს „დინამოს“ უკავშირებენ, ისევე, როგორც ახალწვეულები – მათი ვინაობა ერთობ შთამბეჭდავია: მეკარე ზურაბ ბათიაშვილი (თსუ), მცველები შალვა ხუჯაძე (ტერნოპოლის „ნივა“), ირაკლი ვაშაკიძე და პაატა ჯინჭარაძე (ქუთაისის „ტორპედო“), ნახევარმცველები – შოთა ჩომახიძე (სამტრედიის „იბერია“), ლევან ქებაძე (ქუთაისის „ტორპედო“), თავდამსხმელები – კობა წიტაიშვილი (თსუ), ლევან ბერიშვილი (მპკც, ბელარუსი). თუმცა აქვე დავაზუსტებთ, რომ ბელარუსის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის ტრანსფერი ჯერ დასრულებული არ არის – იქაური კლუბი ბერიშვილში 30 ათას დოლარს ითხოვს, ეს თანხა კი „დინამოს“ კლუბის მესვეურებს გაბერილად ეჩვენებათ, ამიტომ მოლაპარაკება გრძელდება.

როგორც ხედავთ, „დინამოში“ მნიშვნელოვანი ცვლილებებია, ყოველივე კი გვაფიქრებინებს, რომ მურთაზ ხურცილავა ძლიერ გუნდს შეკრავს. აქვე ერთი საინტერესო ცნობასაც მოგაწვდით: საქართველოს ჩემპიონი მოსკოვში, თანამეგობრობის თასზე არ ითამაშებს. ხურცილავას თქმით, დარბაზში თამაშით ფეხბურთელებს ვერ მოამზადებ, ამასთან საკმაოდ დიდია ტრავმის მიღების საშიშროება.

ჯემალ ჭიკაშვილი

ტალანტები XXI საუკუნისათვის

# ქართულ წყალბურთს ბრწყინვალე მომავალი აქვს, თუკი...

როგორც „ლელოს“ მკითხველებმა იციან, რუსეთის 1998 წლის პირველობაში მონაწილეობდა საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრები გუნდი და თანატოლებთან ასპარეზობაში რუსეთის ჩემპიონი გახდა – თასი და ოქროს მედლები მიიღო, რაც ერთგვარ სენსაციად დაფიქსირდა. ჩვენს ქვეყანაში წყალბურთის განვითარების პირობები მინიმუმამდეა დასული და „ლაგუნა-ვერეს“ და წყალთა სახეობების ფედერაციის სასიკეთო თანამშრომლობა რომ არა, ჩვენში, წყალბურთი, და, საერთოდ, წყალთა სახეობები, კარგა ხნის ჩამკვდარი იქნებოდა. გუნდის წარმატებაში კი, ცხადია, დიდი წვლილი მიუძღვის აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლის ბაზაზეც ეს გუნდია შექმნილი.

ჩვენი წყალბურთელები რუსეთის 1999 წლის პირველობაშიც მიიწვიეს, რომელიც უკვე დაიწყო და პირველი წრის მატჩები ახლახან გაიმართა ვოლგოგრადში. „ლელოს“ რედაქციაში მოვიწვიეთ გუნდის უფროსი მწვრთნელი სოსო მაისურაძე. გთავაზობთ მასთან ინტერვიუს.

● *გვითხარით, კონკრეტულად რა ასაკის წყალბურთელები მონაწილეობენ რუსეთის პირველობაში?*

– 1998 წლის პირველობაში 1982 წელში დაბადებულები გამოდიოდნენ, ახალ პირველობაში კი 1981-იანები ასპარეზობენ.

● *მზადების თვალსაზრისით, რაღა თქმა უნდა, რუსეთის პირველობა, როგორც იტყვიან, პირდაპირ მისწრებაა თქვენთვის. კმაყოფილი ხართ პირველი წრის შედეგით?*

– ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ინტერესით ეთამაშება ნებისმიერი მეტოქე ჩემპიონს, ამიტომ ყველა მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა, ყველა შეხვედრა მოვიგეთ გარდა ერთისა და ეს ერთი მასპინძელთა გუნდი იყო. ისე, სიმართლე გითხრათ, მთლად კმაყოფილი არ ვარ იმიტომაც, რომ კოლექტიური თამაში არ გამოგვივიდა, ინდივიდუალური ოსტატობით კი ფონს ყოველთვის ვერ გახვალ.

● *მასპინძლებს „შინაური კედლების“ გარდა მსაჯებიც ხომ არ სწყალობდნენ.*

– ერთ ფაქტს გეტყვით და თავად განსაჯეთ: ამ მატჩის სამსაჯოდ ვოლგოგრადელთა გუნდის უფროსი მწვრთნელის ვაჟი დანიშნეს. ამასთან, ამ გუნდში თამაშობს რუსეთის პირველი ნაკრების კანდიდატი რიკიჩინსკი. მთავარი მაინც ისაა, რომ, როცა მასპინძლებთან შეხვედრას მასპინძელი მსაჯობს, მეტოქე თავიდანვე ფსიქოლოგიურად დათრგუნული გადის მოედანზე. უკმაყოფილო დარჩით მსაჯობით?

– უხეში შეცდომები არ დაუშვია და აშკარა მიკერძოება არ გამოუჩენია, მაგრამ აკი გითხარით, ჩვენებზე მისმა დანიშვნამ თავიდანვე უარყოფითად იმოქმედა. ეს მატჩი 6:9 წავაგეთ.

● *თქვენ თუ გყავდათ წაყვანილი მსაჯი?*

– კი, გვახლდა ირაკლი კიკალიშვილი, რომელიც ადრე წყალბურთს თამაშობდა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯია, ძალიან მცოდნეა და ავტორიტეტია ყველასათვის, ჩვენს გუნდსაც დიდად დაეხმარა მატჩების გარჩევაში, ბიჭებს აძლევდა დარიგებას. დავრწმუნდი, რომ მსაჯის თვალით შეფასებული მატჩი და ნიუანსები შემდეგ შეხვედრებში აშკარად დადებითად ვლინდებოდა.

● *მეორე ადგილით ნახევარფინალში გახვედით. იქ ვინ იქნება თქვენი მეტოქე, როდის და სად გაიმართება მეორე წრე?*

– ჩვენთან ერთად ნახევარფინალში ითამაშებენ ვოლგოგრადის და ნიჟნი-ნოვგოროდის გუნდები, სამიც მოსკოვის ქვეჯგუფიდან დაემატება. მეორე წრე კვლავ ვოლგოგრადში გაიმართება 7 თებერვლიდან.

● *ბოლოს გვინდა გკითხოთ, თუ საიდუმლო არ არის, ვინ დაგაფინანსათ?*

– დიახ, საიდუმლოა. გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც საკუთარი სახსრებით დაგვაფინანსა და თან გაგვაფრთხილა ამის თაობაზე არსად ითქვას და დაიწეროს, რადგან ეს ქველმოქმედება მას რეკლამისთვის არ გაუწევია.



● *კი, მაგრამ, ამ გაჭირვებაში 81-იანების გუნდიც გვყავს?*

– საბედნიეროდ, არიან ამ ასაკის წყალბურთელებიც, თუმცა ბევრი არა, სულ – 4. მაგრამ მათ დაემატებათ უმცროსები. მთავარია, უფროსები არ ჩაიყვანო საასპარეზოდ. ჩვენ ამჟამად ვარჩიეთ პირველობაში მთლიანად 1982-იანები ჩაგვება, რადგან 7-9 მაისს, ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი ჩატარდება ამ ასაკში და ყველაფერს, ყველანაირ შესაძლებლობებს მზადების პერიოდში ხსენებულ ტურნირს ვუკავშირებთ.

● *ქვეჯგუფში ვისთან გიწევთ პაექრობა?*

– მასპინძელთა გარდა, ბელარუსისა და ისრაელის ნაკრები გუნდები იქნებიან ჩვენი მეტოქეები. შემდეგ ეტაპზე ორი გუნდი გავა.

● *გაქვთ წარმატების შანსი?*

– უიმედოდ არ ვართ, მეტი საფიქრალი ახლა არაფერი გვაქვს. გუნდმა ვალდებულებაც კი აიღო, რომ თავდადებით მოემზადება შესაძლებლობების პირობებში. გუნდთან ჩემთან ერთად მუშაობენ ბორის მეგედი და ჯონდო მაჭარაშვილი.

● *სად მოემზადებით?*

– „ლაგუნა-ვერეს“ კომპლექსში. მთავარია, ამ აუზმა გაუძლოს ეკონომიკურ ზეწოლას და ზამთარში მუშაობა არ შეწყვიტოს.

## სპორტის წყალთა სახეობების ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ გოიაშვილის კომენტარი:

**უმძიმესი პირობების მიუხედავად წყალბურთში ნიჭიერი ახალგაზრდობა მოვიდა და მწვრთნელთა მართლაც თავდადებულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო. ჩვენს წყალბურთელებს ყოფილ სსრ კავშირის სივრცეში ამჟამად უძლიერესებად მიიჩნევენ. დასტურად თუნდაც ისიც გამოდგება, რომ ჩვენების რუსეთის პირველობაში მონაწილეობის გარდა, ამ ქვეყნისა და უკრაინის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ხელმძღვანელები მათთან და ჩვენთან სპარინგ-მატჩებს და ერთობლივ ვარჯიშებს გვთავაზობენ.**

**გვერწმუნეთ, თუ ხელშეწყობა გვექნება, საქართველო სულ მალე გადაიქცევა ერთ-ერთ მოწინავე წყალბურთის ქვეყნად. პირდაპირ ვთქვათ, 300 ათასი ლარია საჭირო, რომ ლეგიონერებიც დავიბრუნოთ და ახალგაზრდებთან მათი შერწყმით 2000-2002 წლისთვის ბრწყინვალე ეროვნული ნაკრები შევქმნათ, ისეთი, მსოფლიოს 8 საუკეთესოთა შორის რომ დაიმკვიდრებს ადგილს. ეს უდიდეს პოტენციალზე გათვლილი რეალობაა. ასეთია ჩვენში წყალბურთის ყველა სპეციალისტისა და ვეტერანის აზრი.**

ესაუბრა
თ. თომაშვილი

### ჩვენი სტუდენტების გაემგზავრნენ

იუგოსლავიის ქალაქ ნოვი-სადში დღეს იწყება სტუდენტ ხელბურთელთა XV მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიაც საქართველოს წარგზავნილების მონაწილეობაც მოხერხდა. ჩვენი გუნდი ძირითადად საქართველოს ჩემპიონის ტექნიკური უნივერსიტეტის ხელბურთელთა ბაზაზეა დაკომპლექტებული. ჩემპიონატზე მათ შეუერთდებიან ლეგიონერები მაკედონიიდან გიორგი თურქია, ტიტე კალანდაძე და ალეკო ბოყოჩაძე. გუნდის მწვრთნელია ზაზა დოლიძე.


### იფრინეთ იმედიანად და იაფად!

ავიაკომპანია „ოქროს არწივი“ გთავაზობთ ავიარეისს მარშრუტით:
თბილისი – კიევი – ნიუ-იორკი (კენედის აეროპორტი) და უკან.
ორივე მიმართულებით ბილეთის ფასია 590 აშშ დოლარის შესაბამისი ეროვნული ვალუტა.
დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ: 93-30-89.





### იმკურნალეთ იქ, სადაც მკურნალობენ ცნობილი სპორტსმენები

მომსახურება იდეალური, სპეციალისტები – საუკეთესო, შედეგი – აღდგენილი ჯანმრთელობა!
გამოკვლევა, კონსულტაცია და მკურნალობა ფასიანია.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის, 49 ა;
ტელ: 23-59-59; 29-47-48.




თბილისში, ვაკის რაიონში საზეიმოდ გაიხსნა ნოდარ ახალკაცის სახელობის ხელოვნურსაფარიანი ბავშვთა საფეხბურთო მოედანი განათებით და ზამთარში გადახურვის კონსტრუქციით. ახლა მოედანი უკვე გადახურულია და მაყურებელთა სავარძლებიც დაიდგა. ეს ფოტო მოედნის გადახურვამდეა გადაღებული.

## ლელოს რედაქციას

### ბატონო რედაქტორო!

**მოგეხსენებათ, – საქართველოს სპორტის აკადემიაში გახსნილია სპორტული ჟურნალისტიკის მეორადი სპეციალობა. ტრადიციულად პირველკურსელებს ვაძლევ დავალებას თემაზე – „სპორტი ჩემს სოფელში“. მათ მიერ შესრულებულ წერით დავალებებში ეს პრობლემა ხშირად იმგვარი ფაქტებითაა პასუხგაცემული, რომ მათში ჩვენი ამჟამინდელი სპორტული მოძრაობის მდგომარეობის გამო გულწრფელი წუხილი და, რაც მთავარია, ერთობ საგულისხმო აზრებია გამოთქმული.**

**თავს ნებას ვაძლევ და გიგზავნით ერთ-ერთი პირველკურსელის წერითი დავალების ტექსტს მცირე შემოკლებით.**

**პროფ. ა. ციბაძე**

ჩემი სოფელი ***რეხა*** წალკის რაიონშია. იგი თრიალეთის ქედზეა შეფენილი და უშუალოდ ესაზღვრება ბორჯომის, ქარელის და გორის რაიონებს. რეხა წალკის რაიონის 52 სოფელს შორის ერთადერთი წმინდა ქართული სოფელია.

ახლა, როცა სპორტის აკადემიაში დავიწყე სწავლა, განსაკუთრებით ვიგრძენი და განვიცადე ჩემი სოფლის სპორტული ცხოვრების ავ-კარგი.

თავიდანვე უნდა გითხრათ, რომ დღეს ჩემი სოფლის სპორტული ცხოვრება ნულის ნიშნულამდეა ჩამოსული. არადა:

უხუცესი მკვიდრნი ყვებიან, რომ რეხა სპორტული ცხოვრებითაც განთქმული ყოფილა. აქ ყვარებიათ ჯირითი, დოლი, ჭიდაობა, მძიმე ლოდების აწევ-დაწევა. ბავშვების საყვარელი ვარჯიშობა ყოფილა ლახტი, ყინულზე კოჭაობა და სხვანი.

შემდეგ კი, საქართველოსა და, განსაკუთრებით კი, – ამ მხარის ძნელბედობის პერიოდში, ეს ტრადიციები დაკარგულა.

სოფელში არის სკოლა, მაგრამ იგი პრაქტიკულად ვერ ქმნის ამინდს ჩვენი ახალგაზრდობის სპორტულ ცხოვრებაში.

მე, როგორც სპორტის მომავალი მუშაკი და სპორტული ჟურნალისტი, თავის დროზე (ალბათ ამ ზაფხულსვე, არდადეგების პერიოდში) მომიწევს სოფელში ახალგაზრდობის დარაზმვა სპორტის ზოგიერთი ლოკალური პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ მანამდე...

...ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოს ცენტრში, თრიალეთის ქედზე არსებობს ქართული სოფელი რეხა, რომელიც დედა-თბილისის, საქართველოს სპორტული ორგანიზაციების მესვეურთა დახმარებას ელოდება.

**ლავრენტი საბაძე,**
**საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სპორტული ჟურნალისტიკის მეორადი ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი**

## არ იყო მასობრიობა, იყო ხარისხი!

წლის მიწურულს გამართული თბილისის ღია პირველობა ბერძნულ-რომაული სტილით ჭიდაობაში, რომელსაც ფალავანთა კლუბი მასპინძლობდა, ქალაქებს კი მოიცავდა – ადგილობრივ ფალავნებთან ერთად უძლიერესის სახელისათვის იბრძოდნენ რუსთავის, სართიჭალის, ქუთაისის, ბათუმისა და მარტყოფის მოჭიდავეები, მაგრამ მასობრიობითა და წარმომადგენლობით არ გამორჩეულა – სულ 40-მდე მონაწილე იყო. რაც შეეხება წარმომადგენლობას, საქართველოს ნაკრების წევრები ტრავმირებულნი (?!) ყოფილან და ისინი ექიმებს არ დაუშვიათ შეჯიბრებაზე... საკითხავია, რითი იმართლებენ თავს ასეთი დაუდევრობის გამო სპორტსმენები და მათი მწვრთნელები?

**ქვარცხლბეკი:** ***54 კგ:*** 1. გიორგი ტაბატაძე, 2. ლაშა სალუქვაძე (ორივე – თბილისის „შევარდენი“). მესამე მონაწილე არ ყოფილა. ***58 კგ:*** 1. პაატა ბიწაძე, 2. ირაკლი ჭოჭუა, 3. დურმიშხან ქედელიძე (სამივე – თბ. „შევარდენი“), ***63 კგ:*** 1. ზაურ ბექაური, 2. მანუჩარ ფერაძე, 3. დურმიშხან ჭკადუა (სამივე – თბ. „შევარდენი“), ***69 კგ:*** 1. ნუგზარ ცალუღელაშვილი (სართიჭალის „შევარდენი“), დავით კობერიძე (თბ. „შევარდენი“), ამირან სვანიძე (ოზურგეთის „დინამო“); ***79 კგ:*** 1. ბადრი ხასაია, 2. ლაშა არღვლიანი (ორივე – თბ. „შევარდენი“), 3. დიმიტრი დოხტურიშვილი (სართიჭალის „შევარდენი“); ***85 კგ:*** 1. გელა ჩხაიძე (ბთ. „დინამო“),



2. მამუკა დავითაშვილი (თბ. „შევარდენი“), 3. მიხეილ ადეიშვილი (რუსთ. „შევარდენი“); ***97 კგ:*** 1. მუხრან ვახტანგაძე (ბთ. „შევარდენი“), 2. ზაურ წიქარიძე (თბ. „შევარდენი“), 3. ლევან მირაქიშვილი (თბ. „დინამო“). ***130 კგ:*** 1. გიორგი წურწუმია (თბ. „შევარდენი“), 2. გენადი ჩხაიძე (ბთ. „შევარდენი“, 3. ფაია გაბელაია (აბაშის „შევარდენი“). ლეგენდარული გივი კარტოზიას პრიზი გადაეცა მის წონაში გამარჯვებულ ბადრი ხასაიას.

გაზეთის დაბეჭდვის წინ...

## კრუიფი ნუნიესის ზავს უარობს

იოჰან კრუიფმა უარი შეუთვალა „ბარსელონას“ პრეზიდენტს ხოსეპ ლუის ნუნიესს, რომელიც შეეცადა მასსა და კრუიფს შორის არსებული ხანგრძლივი კონფლიქტის მოგვარებას. ნუნიესმა წერილობით აცნობა კრუიფს თავისი თხოვნის შესახებ. საქმე ისაა, რომ გაისად „ბარსელონას“ დაარსებიდან 100 წელი უსრულდება და კლუბის პრეზიდენტი მარტში და აპრილში ორი საზეიმო მატჩის ჩატარებას აპირებს (ზუსტი თარიღის და „ბარსას“ მეტოქეების ვინაობა ჯერ დაუზუსტებელია). მან სთხოვა კრუიფს დასწრებოდა „ბარსელონას“ ზეიმს და მატჩებს. ნუნიესმა იმედი გამოთქვა, რომ საზეიმო ვითარება საწინდარი გახდება კრუიფსა და მას შორის არსებული ურთიერთბრალდებების გასაქარწყლებლად. ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა კი განაცხადა: „იძულებული ვარ შევახსენო ნუნიესს, რომ პირველ ყოვლისა, მან უკან უნდა წაიღოს ყველა ის სიტყვები, რაც ჩემს შესახებ თქვა“.

შეგახსენებთ, რომ კრუიფის ხელმძღვანელობით „ბარსელონამ“ ოთხჯერ მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონობა (1991-94), ხოლო 1992-ში ევროპის ჩემპიონთა თასიც. „ბარსას“ ჰოლანდიელი მწვრთნელი (კრუიფი მწვრთნელობამდე თამაშობდა კიდეც „ბარსაში“) 1996 წელს გამოეთხოვა და მას შემდეგ ნუნიესი სახალხოდ აკრიტიკებდა (რაც ხანდახან ლანძღვაშიც გადადიოდა) მას.

ახლა კი პრეზიდენტმა ფირფიტის გადაბრუნება მოიწადინა, რისი მიზეზიც ის გახლავთ, რომ ახლანდელი ჰოლანდიელი მწვრთნელის ლუის ვან გაალის ხელში „ბარსელონა“ მეტად დაუძლურდა – ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას გამოეთიშა და ეროვნულ ჩემპიონატში გამოსვლითაც ვერ მოიწონებს თავს. როგორც ესპანელი მიმომხილველები იუწყებიან, ნუნიესის მიერ მშვიდობის მტრედების აფრენას ერთადერთი მიზანი აქვს – შემოირიგოს კრუიფი და „ბარსელონა“ კვლავ მას ჩააბაროს. კრუიფის ცდუნება კი მთლად რთული საქმე როდია, რადგან მას „ბარსელონასადმი“ განსაკუთრებული ვნება აქვს – ის „ბარსას“ თამაშებზე დასასწრები სეზონური აბონემენტის მფლობელია და სახლიც არ გაუყიდია ბარსელონაში.

"REUTERS"

# სახელმწიფო ფეხბურთს ჯერჯერობით ვერ მიხედავს...

**ილუზიები გაქრა — სახელმწიფო სპორტს და, სახელდობრ, ფეხბურთს ვერ დაეხმარება. ეს ცხადი გახდა წინასაახალწლო დღეებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ზაზა შენგელიას თავმჯდომარეობით ჩატარებულ თათბირზე. მისი რეზიუმე ერთობ პესიმისტური იყო — ბიუჯეტის იმედი ნუ გექნებათ, მას თავისი გაჭირვებაც ეყოფა, ფეხბურთს რომ ეშველოს, კანონები უნდა შევქმნათ, მოვამზადოთ ისინი და პარლამენტის სესიაზე დასამტკიცებლად გამოვიტანოთ — კანონები ქველმოქმედების, სპორტული ლატარიის შესახებ. ბიუჯეტიდან სპორტის დეპარტამენტს წლის დასაწყისში გამოყოფილი 4 მილიონი ლარიც კი ვერ მიუღია, ის მილიონ 600 ათასი ლარის გამოყოფაც არარეალურია, რომელიც, თითქოს, პირველი ჯგუფის გუნდებს უნდა დაურიგდეთ...**

თათბირზე სამი ძირითადი საკითხი განიხილეს. მათ შორის მთავარი — „სფფ-ს შესახებ“ ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ა) ფეხბურთის განვითარებისა და სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება; ბ) ფედერაციაში არსებული საფინანსო მდგომარეობის შემოწმების მიმდინარეობა. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარმა მომხსენებელმა, ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ მომავლის ამოცანებს რომ შეეხო, თავისი საპრეზიდენტო პროგრამიდან ნაცნობი მოთხოვნები წამოაყენა: 1. განთავისუფლდეს ფედერაციის პირდაპირი შემოსავლები, რომელსაც იგი მომავალში მიიღებს ფიფა-უეფასაგან გრანტებისა და დახმარების სახით; 2. განთავისუფლდეს გადასახადებისაგან ეროვნული ნაკრების მატჩებზე ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა; 3. განთავისუფლდეს ეროვნული და საკლუბო გუნდების ტელეტრანსლაციებიდან შემოსული თანხა დაბეგვრისაგან; 4. ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს არ დაებეგროთ პრემიალური თანხები; 5. არ დაიბეგროს საბაჟოზე ის ინვენტარი და საჩუქრები, რომელთაც სფფ მიიღებს უცხოელი პარტნიორებიდან; 6. ჩამოყალიბდეს ფეხბურთის სპეცკლასები სკოლების ბაზაზე; 7. გამოეყოს სფფ-ს თბილისიდან 30 კილომეტრის რადიუსში მიწის ნაკვეთი ეროვნული ნაკრების ბაზის ასაშენებლად; 8. დაჩქარდეს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის რეკონსტრუქცია; 9. მიეცეს სახელმწიფო ტელერადიოკორპორაციას სახელმწიფო დოტაცია, რათა მან სფფ-სგან ტელეტრანსალციების უფლება იყიდოს; 10. ქვეყანაში გათამაშებული ლატარიების მოგების 50 პროცენტი გადაეცეს სფფ-ს; 11. 2000 წელს გაიმართოს და დაფინანსდეს ქართული ფეხბურთის 100-წლისთავისადმი მიძღვნილი ზეიმი.

როგორც ხედავთ, მერაბ ჟორდანიას მოთხოვნები უშუალოდ სახელმწიფოს ბიუჯეტის ირგვლივ ტრიალებს, „ამის იმედზე ყოფნა კი დღევანდელ სიტუაციაში უბრალოდ არასერიოზული საქმეა“ — უთხრა მომხსენებელს ზაზა შენგელიამ. მოკლედ რომ ვთქვათ, სახელმწიფოს ახლა ფეხბურთისთვის სულაც არ ცხელა და მან თავისი თავი როგორმე დამოუკიდებლად ირჩინოს.

## წერილი, რომელიც სულაც არ ესადაგება საახალწლო განწყობას

*საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს*

**ბატონო ედუარდ!**

როგორც თქვენთვის ცნობილია, ა/წლის 23 ოქტომბერს გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მეოთხე ყრილობა, რომელმაც აირჩია ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა. არსებული სიტუაციის შესწავლის შემდეგ ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ, თხოვნით მიმართა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტს, რათა გვეცნობებინა თქვენთვის სადღეისო მძიმე მდგომარეობის შესახებ.

როგორც წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, სფფ-ს მდგომარეობა კატასტროფულია. დებიტორული დავალიანება დაახლოებით 600 000 (ექვსასი ათასი) ლარს შეადგენდა. მათ შორის ევროპის საფეხბურთო კავშირის — უეფას ვალი იყო 250 000 (ორასორმოცდაათი ათასი) ლარი, რაც ამჟამად დაფარულია. საქართველოს ბიუჯეტში კი დავალიანება 243 600 (ორასორმოცდასამი ათას ექვსასი) ლარს შეადგენს. ამ ვალების გადახდის რეალური შესაძლებლობა დღეს სფფ-ს არ გააჩნია. ზემოთხსენებული ფინანსური კატასტროფა კი სფფ-ს ყოფილ ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლო და უკონტროლო საფინანსო-სამეურნეო მოღვაწეობის შედეგია.

სფფ-ს კონტრაქტი შვეიცარული ფირმა „ტელესპორტთან“, რომელიც ფაქტიურად ფედერაციის სიცოცხლისუნარიანობას განსაზღვრავდა, შედგენილია სერიოზული ფინანსური დარღვევებითა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებით.

კონტრაქტი „ტელესპორტთან“ დადებულია 1993 წელს და ეროვნული ნაკრების საშინაო თამაშების ტელეტრანსლაციების უფლების ამ ფირმისადმი მიყიდვას გულისხმობს. მეტად არახელსაყრელად შედგენილი კონტრაქტი 1998 წლის 18 იანვარს სფფ-ს ყოფილ პრეზიდენტის ნოდარ ახალკაცის მიერ გაგრძელებულია 2003 წლამდე (!). შემდეგ კი, ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ა. ჩივაძის მიერ კონტრაქტი გაგრძელებული იქნა 2005 წლამდე. ამის შემდეგ ფირმას კიდევ აქვს უპირატესი უფლება ორი წლით გააგრძელოს იგი.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ამ კონტრაქტის გაგრძელების უფლებაც კი არ ჰქონდა სფფ-ს ყოფილ პრეზიდენტს, რაკიღა მისი უფლებამოსილება 1998 წლამდე გრძელდებოდა და საქართველოს პრეზიდენტის №709 ბრძანებულების თანახმად მეოთხე ყრილობა 1998 წლის პირველ კვარტალში უნდა მოწვეულიყო. ამ კონტრაქტის გაგრძელებით სფფ-ს ყოფილმა ხელმძღვანელმა გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა არა მარტო ფედერაციის დღევანდელი ხელმძღვანელობა, არამედ ის ხალხიც, ვინც 2002 წლიდან უნდა გაუძღვეს ფედერაციის საქმიანობას. ამ ხელმოწერით ქართული ფეხბურთი ფაქტიურად მთელი 7 წლით გაიწირა სიღარიბისათვის, რაკიღა კონტრაქტი ჩვენი მხარისათვის მეტად არახელსაყრელად არის შედგენილი და იმაზე გაცილებით ნაკლები თანხის გადახდას ითვალისწინებს, ვიდრე რეალურად შეეძლო აეღო სფფ-ს.

„ტელესპორტიდან“ თანხის მიღების სქემა (საუბარია დაახლოებით 1 900 000 აშშ დოლარი) შემდეგნაირი იყო: 1994 წელს შვეიცარიის ბანკში გაიხსნა პირადი საბანკო ანგარიში, ვის ეკუთვნის ეს ანგარიში, ამის გაგება შეუძლებელია, რადგან ნ. ახალკაც-უფროსს და მის ვაჟს, ნ. ახალკაც-უმცროსს აბსოლუტურად იდენტური ხელმოწერა აქვთ (!).

ეს ანგარიში ანულირებულია 1998 წლის 28 აპრილს ნ. ახალკაცი-უმცროსის მიერ, რაც არაპირდაპირ მიანიშნებს, რომ ანგარიში მას ეკუთვნოდა. სხვათა შორის, ნ. ახალკაცი-უმცროსი 1992-96 წლებში მუშაობდა სფფ-ს საერთაშორისო განყოფილების ინსპექტორად, ხოლო 1996 წლიდან კი, სფფ-სთან არავითარი იურიდიული კავშირი აღარ ჰქონია.

ფულადი სახსრები „ტელესპორტიდან“ ორი მიმართულებით მოდიოდა საქართველოში: პირად საბანკო ანგარიშზე და ნაღდი ფულის სახით, რომელსაც ტელესპორტის წარმომადგენელი კლაუს ანდერსი ფაქს-მინდობილობით გადასცემდა სფფ-ს წარმომადგენელს. ამის შემდეგ საქართველოში ანგარიშხელმოწერით დიდი თანხა (დაახლოებით 1 674 226 აშშ დოლარი) შემოდიოდა. საზღვარზე ეს ფული დეკლარაციაში არ ტარდებოდა და თანაც უმეტესწილად სფფ-ს სალაროში დროულად არ ფორმდებოდა. შემოტანიდან გაფორმებამდე ვადა ზოგჯერ ერთი თვიდან ერთ წლამდე მერყეობდა. მოკლედ, თანხას სფფ-ს ანგარიშიდან იღებდა ერთი პირი, გადასცემდა მეორეს, რომელიც შემოიტანდა თანხას საქართველოში და მესამე პირს ჩააბარებდა, ხოლო გარკვეული ვადის შემდეგ ეს უკანასკნელი რიგით მეოთხე პირს აძლევდა თანხას, რომელიც უკვე მასზე პასუხს აგებდა.

თანხის მიღება ამ გზით 26-ჯერ განხორციელდა და 16-ჯერ იგი ნოდარ ახალკაცმა-უმცროსმა მიიღო. არადა, როგორც მოგახსენეთ, 1996 წლიდან 1998 წლის 1 თებერვლამდე ნოდარ ახალკაც-უმცროსს სფფ-სთან არავითარი კავშირი არ ჰქონია და 1 თებერვალს სფფ-ს შტატში იმიტომ შეიყვანეს, რომ სფფ-ს ანგარიშზე შვეიცარიულ ბანკში (ქალაქ ნიონში) ხელმოწერის უფლება მიეცა პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელ ალექსანდრე ჩივაძისათვის. ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ სფფ-ს საერთაშორისო განყოფილების უფროსის დ. პეტრიაშვილისადმი და კომერციული სამსახურის უფროსის რ. შავდიასადმი ამ უფლების გადაცემა ვერც ერთ კანონში ვერ ჯდება, რადგან ამ დროს ხელმოწერის უფლება არ ჰქონდათ არც სფფ-ს გენერალურ მდივანს დ. კვინიკაძეს და არც სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტს ნ. ანდრიაძეს.

ყველა ზემოაღნიშნულ პირს კ. ანდრესს, დ. პეტრიაშვილს, რ. შავდიას და ნ. ახალკაც-უმცროსს, არ ჰქონდათ სფფ-ს აღმასკომიდან მინიჭებული უფლება, ეწარმოებინათ ფინანსური ოპერაციები და თუკი მსგავსი გადაწყვეტილება ინახება კიდეც შვეიცარიის ბანკში ან „ტელესპორტში“, იგი ყალბია, რადგან აღმასკომს მსგავსი გადაწყვეტილება არ მიუღია.

საბუთების შემოწმების პროცესში გამოვლენილია კიდევ რამდენიმე საბანკო ანგარიში ლუქსემბურგის ბანკში (თუ ფონდში), რომლებიც გაურკვეველია, ვის ეკუთვნის. არადა, ამ ანგარიშებით სარგებლობდა სფფ-ს ყოფილი პრეზიდენტი და უკანონოდ აბანდებდა ფასიანი ქაღალდების ოპერაციებში ქართული ფეხბურთის კუთვნილ თანხებს, თანაც გარკვეული რისკის ფასად.

1994-1998 წლებში ფინანსური ოპერაციებიდან შემოსავალმა პირობითად 31 679 აშშ დოლარი შეადგინა. არადა, ამ საბრუნავი თანხის (დაახლოებით 300 000 დოლარზე მეტი) დეპოზიტზე დადებაც კი, გაცილებით მეტ მოგებას მოიტანდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ფედერაციის ახალ ხელმძღვანელობას ამომწურავი დოკუმენტაცია არ გააჩნია. იგი სპეციალურ შესწავლას საჭიროებს.

სფფ-ს პრაქტიკულად ყველა გადაწყვეტილებაში არაპროფესიონალიზმი ან შეგნებული დანაშაული ვლინდება: მაგალითად, „ქართული ბანკის“ გაკოტრების შემდეგ სფფ-მ 20 000 ლარი დაკარგა. სფფ-ს წარმომადგენლობამ მოსკოვში 7 მილიონი რუსული რუბლის (1993-95 წლების კურსით) ზარალი მიაყენა ფედერაციას. მიუხედავად იმისა, რომ გრანტის სახით სფფ-მ უეფადან 3 000-მდე ფეხბურთის ბურთი მიიღო, დამატებით კიდევ შეიძინა 65 000 აშშ დოლარის ღირებულების 6 000 ბურთი. როგორც შემოწმებამ ცხადყო, ეს ბურთები მხოლოდ საშინაო პირობებისთვის არის ვარგისიანი.

„ტელესპორტთან“ ჩვენთვის არახელსაყრელი კონტრაქტის ანალიზი მიუთითებს, რომ ქვეთავები „საკვალიფიკაციო“ და „ამხანაგური“ მატჩები 2000-2005 წლამდე სასწრაფოდ გადახედვას მოითხოვს. მათგან შემოსავლები 40 პროცენტამდე ნაკლებია რეალურზე, ანუ იმ თანხაზე, რომელსაც სფფ-ს სთავაზობდნენ „ტელესპორტის“ კონკურენტები 1998 წლის იანვარში, ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების კენჭისყრის წინ. პირველ რიგში, ეს ეხება მატჩებს საფრანგეთის, ინგლისის, ნიდერლანდების, ბელგიისა და შვედეთის მონაწილეობით. იგივე ეხება 1998-99 წლების მატჩებს საბერძნეთის, ნორვეგიის და „სხვა სახელმწიფოთა“ მონაწილეობით შესაბამის გრაფაში. უახლოეს დღეებში სფფ-ს ხელმძღვანელობა აპირებს შეხვდეს „ტელესპორტის“ ხელმძღვანელობას ამ პრობლემებზე სასაუბროდ.

„ტელესპორტთან“ დადებულმა კონტრაქტმა და ფინანსური ანგარიშსწორების მანკიერმა პრაქტიკამ ფედერაცია ჩააყენა არამარტო გამოუვალ მდგომარეობაში, არამედ მძიმე იურიდიულ პირობებშიც. ფედერაციის ახალ ხელმძღვანელებს მიეწერებათ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების, საქართველოს მთავრობის კანონთა და გადაწყვეტილებათა, ეროვნული ბანკის დადგენილებათა უმძიმესი დარღვევები.

1. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის №454 (10 ივნისი 1993 წ.) და №306 (16 მაისი 1994 წ.) დადგენილებათა დარღვევა: „სახელმწიფოსადმი ვალუტის ნაწილობრივი მიყიდვა“;
2. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის №888 (14 აპრილი 1994 წ.) დადგენილების დარღვევა: „საფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვის წარმოება“;
3. საქართველოს მინისტრთა კაბინეტის №394 (24 ივნისი 1994 წელი) და ეროვნული ბანკის №52 (20 დეკემბერი 1992 წ.) დადგენილებათა დარღვევა: „საბანკო და სალარო ოპერაციების წარმოება“;
4. საქართველოს პრეზიდენტის №363 (16 სექტემბერი 1995 წ.) ბრძანების და ეროვნული ბანკისა და მინისტრთა კაბინეტის ერთობლივი დადგენილების №575 (27 ივნისი 1993 წ.) დარღვევა: „ლარის როგორც ერთადერთი საგადასახადო საშუალების შესახებ“.

ჩვენს მიერ მიღებული ინფორმაციის თანახმად ეროვნულ სტადიონზე სკამების დამონტაჟება შესაძლებელი იყო გაცილებით ნაკლები დანახარჯებით, თანაც ისე, თავად სკამების ხარისხი უფრო მაღალი ყოფილიყო.

ყოველივე ამას დაუმატეთ „მემკვიდრეობით“ მიღებული ავარიული შენობა, დავალიანების გამო გათიშული ყველა (!) ტელეფონი სფფ-ში, თანამშრომლებზე თვეობით გაუცემელი ხელფასი, გაჩანაგებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ყოველივე ზემოთქმული კიდევ უფრო დამძიმდება.

ბატონო ედუარდ, გაწვდით რა ინფორმაციას სფფ-ში არსებული მძიმე ფინანსური სიტუაციის შესახებ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი მხარს უჭერს სფფ-ს ახალი ხელმძღვანელობის თხოვნას დროებით გაიყინოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადასარიცხი ორას ორმოცი ათას ექვსასი (240 600) ლარი, სანამ სფფ-ს ახალი ხელმძღვანელობა არ გადასინჯავს ძველ კონტრაქტს ტელეტრანსლაციის უფლებებზე, ან არ დადებს ახალს, შედარებით უფრო მომგებიანს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებზე.

ბატონო ედუარდ, გთხოვთ აგრეთვე დაავალოთ შესაბამის ორგანოებს, რათა სფფ-ს ანგარიშებზე „რუსულ-ქართულ ბანკში“ მოხსნან ყადაღა, რათა ფედერაციამ შეძლოს ნორმალური ფუნქციონირება.

**უღრმესი პატივისცემით**

თავმჯდომარე კ. ასათიანი

### საქართველოს პრეზიდენტმა ამ დოკუმენტს ასეთი რეზოლუცია დაადო:

**1. ზაზა შენგელიას, კახი ასათიანს, მერაბ ჟორდანიას,**
**სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად დაამთავრეთ მუშაობა საქართველოში ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის შედგენაზე.**
**2. დავით ონოფრიშვილს,**
**პირადად განიხილეთ კ. ასათიანის მოხსენებითი ბარათი. წარმოადგინეთ წინადადებები, თხოვნების დასაკმაყოფილებლად. სხვათაშორის, კახი ასათიანის ცნობაში მოტანილი აღმაშფოთებელი ფაქტები, რაც წლების განმავლობაში გროვდებოდა, არ უნდა რჩებოდეს ფინანსთა სამინისტროს მხედველობის მიღმა.**
**3. ჯ. ბაბილაშვილს,**
**დააჩქარეთ თქვენს მიერ დაწყებული საქმის გამოძიება.**

ე. შევარდნაძე (№563/9 14.12.98)

# „თანამეგობრობა-99“ საქართველოს ჩემპიონის გარეშე

გაისად, 23-31 იანვარს მოსკოვში გაიმართება თანამეგობრობის თასის მეშვიდე გათამაშება ფეხბურთში. ეს შეჯიბრება უწინდელებთან შედარებით სახეშეცვლილი რეგლამენტით ტარდება: მონაწილე გუნდები დაყოფილნი არიან უმაღლეს („A“ და „B“ჯგუფები) და პირველ ლიგად. აღსანიშნავია, რომ პირველად დაარსების დღიდან ამ ტურნირში არ იასპარეზებს საქართველოს ჩემპიონი (თუ ვინ შეცვლის მას, ჯერჯერობით უცნობია). ჯგუფების შემადგენლობა ასეთია:

„A“: „სპარტაკი“ (რუსეთი), „ჟალგირისი“ (ლიტვა), საქართველოს გუნდი, „დნეპრ-ტრანსმაში“ (ბელორუსია);
„B“: „დინამო“ (უკრაინა), „კოპეტდაღი“ (თურქმენეთი), „სკონტო“ (ლატვია), „ქიაფაზი“ (აზერბაიჯანი);
„C“: „ზიმბრუ“ (მოლდავეთი), „დინამო-შსხ“ (ყირგიზეთი), „ფლორა“ (ესტონეთი), რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები (კონკურსგარეშე);
„D“: „პახტაკორი“ (უზბეკეთი), „ვარზობი“ (ტაჯიკეთი), „ელიმაი“ (ყაზახეთი), „ცემენტი“ (სომხეთი).

თავდაპირველად გუნდები ერთმანეთს ჯგუფებში ეთამაშებიან. პირველი ლიგის ორი საუკეთესო გუნდი „თანამეგობრობა-2000“-ზე უმაღლეს ლიგაში დაიჯავშნის ადგილს. უმაღლესი ლიგის ოთხი რჩეული გუნდი შეჯიბრების მეორე ეტაპზე შეადგენენ ფინალურ ოთხეულს და გამართავენ კიდევ ორ-ორ მატჩს სხვა ჯგუფის გუნდებთან. და ბოლოს, ორი საუკეთესო ერთმანეთს ფინალში შეეყრება.

## პირველი ეტაპი

**3 იანვარი, შაბათი**

ჟალგირისი — საქართველოს გუნდი 13.00
სპარტაკი — დნეპრ-ტრანსმაში 19.00
კოპეტდაღი — ქიაფაზი 15.00
დინამო — სკონტო 17.00

ზიმბრუ — რუსეთის ახალგ. ნაკრები 13.00
დინამო-შსხ — ფლორა 15.00
პახტაკორი — ცემენტი 17.00
ვარზობი — ელიმაი 19.00

**24 იანვარი, კვირა**

დნეპრ-ტრანსმაში — ჟალგირისი 15.00
საქართველოს გუნდი — სპარტაკი 19.00
სკონტო — კოპეტდაღი 13.00
ქიაფაზი — დინამო 17.00
რუსეთი (ახალგ.) — დინამო-შსხ 13.00
ფლორა-ზიმბრუ 15.00
ცემენტი — ვარზობი 17.00
ელიმაი — პახტაკორი 19.00

**26 იანვარი, სამშაბათი**

საქართველოს გუნდი — დნეპრ-ტრანსმაში 15.00
სპარტაკი — ჟალგირისი 19.00
სკონტო — ქიაფაზი 13.00
დინამო — კოპეტდაღი 17.00
ფლორა — რუსეთი (ახალგ.) 13.00
ზიმბრუ — დინამო-შსხ 15.00
ელიმაი — ცემენტი 17.00
პახტაკორი — ვარზობი 19.00

## მეორე ეტაპი

**27 იანვარი, ოთხშაბათი**

A=2 – B=1 16.30
A=1 – B-2 19.00

**29 იანვარი, პარასკევი**

B=2 – A=2 16.30
B=1 – A=1 19.00

**31 იანვარი, კვირა**

ფინალი 16.00

## ვის მიიჩნევენ „საუკუნის ფეხბურთელად“?

# დარჩა შესანიშნავი შვიდეული

*სპორტის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა 11 იანვარს გამოაცხადოს XX საუკუნის საუკეთესო ევროპელი ფეხბურთელის სახელი. პრეტენდენტი შვიდია, შვიდი ლეგენდარული დიდოსტატი, ვინ არიან ესენი? ალფრედო დი სტეფანო (ესპანეთი), ფერენც პუშკაში (უნგრეთი), ეუსებიო (პორტუგალია), ბობი ჩარლტონი (ინგლისი), ფრანც ბეკენბაუერი (გერმანია), მიშელ პლატინი (საფრანგეთი) და იოჰან კრუიფი (ჰოლანდია) – ვის შეიძლება მიეკუთვნოს უპირატესობა? ჩვენც ვიფიქროთ, ძვირფასო მკითხველებო!*



ალფრედო დი სტეფანო (მარცხნივ) და ფერენც პუშკაში

***ალფრედო დი სტეფანოს*** (დაიბ. 1926 წლის 4 ივლისს) ჩვენი ახალგაზრდა გულშემატკივრები შედარებით ნაკლებად იცნობენ. მისი გამოსვლა იმ დროს დაემთხვა, როცა არც ტელევიზიის ყოვლისშემძლეობა იყო და პრესაც ფეხბურთს (შედარებით, რა თქმა უნდა!) ესოდენ ყურადღებას არ უთმობდა. ამასთან, დი სტეფანო ყოფილ საბჭოთა კავშირში არასოდეს ყოფილა. მისი თამაშიც სულ რამდენიმე ქართველ სპეციალისტს თუ უნახავს.

იგი იტალიური წარმოშობის არგენტინელია. დაიბადა ბოკაში (ბუენოს-აირესის ერთ-ერთი უბანი). მამამისი (მასაც – ალფრედო ერქვა), ბუენოს-აირესის განთქმულ „რივერ პლეიტის“ ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელი იყო. თვით მომავალმა გენიალურმა ფორვარდმა 12 წლისამ დაიწყო თამაში „ნავაროში,“ სადაც უკანდახეული თავდამსხმელის ფუნქციას ასრულებდა. 16 წლისაც არ იყო, როცა 1942 წლის მარტში უკვე „რივერ პლეიტში“ ჩაირიცხა, 1944 წლიდან კი ძირითადი მოთამაშე გახდა და განთქმულ პედერნერასა და ლაბრუნასთან ერთად „დამკვრელი სამეული“ შექმნა. სწორედ მაშინ უწოდეს მას „საეტა რუბია“, რაც „ქერა ისარს“ ნიშნავს. 1946 წელს „ჰურაკანში“ გამოდიოდა, 1947 წელს კვლავ „რივერ პლეიტს“ დაუბრუნდა. იმავე 1947 წელს დებიუტი ჰქონდა არგენტინის ნაკრებში (იქ სულ 6 მატჩი აქვს ჩატარებული), გუნდმა ეკვადორში სამხრეთ ამერიკის ჩემპიონობა მოიპოვა.

1948 წელს მონაწილეობა მიიღო არგენტინელი პროფესიონალი ფეხბურთელების გაფიცვაში, ამის გამო მთავრობის დიდი რისხვა დაემუქრა. დი სტეფანოს იტალიაში გაყიდვას უპირებდნენ (როგორ იცვლება დრო!), რაც მას არავითარ შემთხვევაში ხელს არ აძლევდა. ამიტომ იგი ფაქტობრივად, უნებართვოდ გაემგზავრა კოლუმბიაში და ბოგოტის „მილიონარიოსის“ წევრი გახდა. „ლურჯ ბალეტს“ (ასე უწოდებდნენ ამ კოლუმბიურ კლუბს), რომელშიც კიდევ ერთი განთქმული არგენტინელი ფეხბურთელი ნესტორ როსი გამოდიოდა, მაშინ დიდი სახელი ჰქონდა. იგი 1949, 1951 და 1952 წლებში ქვეყნის ჩემპიონი იყო. ახალგაზრდა თავდამსხმელმა ამ კლუბის 292 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 259 გოლი გაიტანა.

1953 წელს დიდ სტეფანოს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო. იგი ესპანეთში გადასახლდა და მადრიდის „რეალის“ წევრი გახდა. სწორედ ამ კლუბში მოიპოვა „დონ ალფრედომ“, როგორც მას ამიერიდან უწოდებდნენ, თავისი უდიდესი წარმატებები. „რეალში“ დი სტეფანო 1964 წლამდე თამაშობდა, მონაწილეობა მიიღო 624 მატჩში და გაიტანა 405 გოლი.

1957 და 1959 წლებში ევროპის №1 ფეხბურთელად აღიარეს, 1957, 1959, 1960, 1962 და 1964 წლებში – ესპანეთის №1 სპორტსმენად. 1963 წელს მსოფლიო ნაკრების კაპიტანი იყო ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ გამართულ საიუბილეო მატჩში. ხუთჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონატების სნაიპერი: 1954 (29 გოლი), 1956 (24), 1957 (31), 1958 (19) და 1959 (23) წლებში. მისი მონაწილეობით მადრიდის „რეალი“ 5-ჯერ დაეუფლა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს, ხოლო თვით დი სტეფანომ ამ შეჯიბრებაში 49 (!) გოლი გაიტანა, რაც რეკორდულ მიღწევად ითვლება. 1960 წელს დაეუფლა საკონტინენტთაშორისო თასს. 1962 წელს ჩილეში მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატში. 1964 წელს, 38 წლისა (!) გადავიდა ბარსელონას „ესპანიოლში“, სადაც დაასრულა კიდეც თავისი ფანტასტიკური „კარიერა. დი სტეფანო ყოველმხრივ სრულყოფილი ფეხბურთელი იყო, ვირტუოზული ტექნიკის მქონე, კარგა ხანს ინარჩუნებდა განსაკუთრებულ სისწრაფეს, იყო თამაშის უებარი წარმმართველი და დიდი სნაიპერი.

მას შემდეგ, რაც ფეხბურთელის კარიერა დაამთავრა, დი სტეფანო პროფესიონალი მწვრთნელი გახდა, თუმცა რაიმე განსაკუთრებული წარმატება არ ჰქონია. სათავეში ედგა „ელჩეს“, ბუენოს-აირესის „ბოკა ხუნიორსს“, არგენტინის ნაკრებს (1970 წელს), „ვალენსიას“, ლისაბონის „სპორტინგს“, „კასტილიას“ (მადრიდის „რეალის“ ფარმ-კლუბს), მადრიდის „რეალს“, კვლავ „ვალენსიას“.

უდიდესი ოსტატი ***ფერენც პუშკაში*** (დაიბ. 1927 წ. 2 აპრილს) განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა მთელ მსოფლიოში, თუმცა მოსკოვში 1972 წელს გამოცემულ ვრცელ ცნობარში „ყველაფერი ფეხბურთის შესახებ“ იგი საერთოდ არ არის ნახსენები (!!), ხოლო 1963 წელს ლონდონიდან ტრანსლირებული საიუბილეო მატჩში რუსი კომენტატორი, ვითომ არ იცოდა, ვინ თამაშობდა, მას უწოდებდა „მეათე ნომერს“ (!).

თამაშობდა ბუდაპეშტის „ჰონვედში“ (ადრე „კიშპეშტი“ ერქვა). გამოირჩეოდა განსაკუთრებული შედეგიანობით და ყუმბარისებური დარტყმით. მრავალ მეტსახელთან ერთად „ცაცია მაიორიც“ (სამხედრო გუნდში თამაშის გამო) ერქვა. ოთხჯერ გახდა უნგრეთის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი: 1948 (გაიტანა 50 გოლი!), 1949 (31), 1950 (25) და 1953 (27) წლებში. უნგრეთის ნაკრებში 1945-1956 წლებში ჩაატარა 84 მატჩი და გაიტანა 83 გოლი, რაც ცხადია, განსაკუთრებული შედეგია. 1952 წელს უნგრეთის ოლიმპიურმა ნაკრებმა ჰელსინკში ფინალში მოუგო იუგოსლავიელებს (2-0) და ჩემპიონობა მოიპოვა. ამ მატჩში პუშკაშმა ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი. მონაწილეობდა ორ ამხანაგნურ მატჩში ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ლონდონსა (6-3) და ბუდაპეშტში (7-1), სადაც ბრიტანელების განადგურებამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა. 1954 წელს პუშკაშმა პირველად ითამაშა მსოფლიო ჩემპიონატში შვეიცარიაში, სადაც უნგრელებს ვერცხლის მედლები დარჩათ.

1956 წლის სახალხო აჯანყებამ უნგრეთში პუშკაშს საზღვარგარეთის ტურნეში მოუსწრო. ამის შემდეგ იგი ესპანეთში დარჩა და ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. რამდენიმე სეზონის მანძილზე განსაკუთრებული წარმატებით გამოდიოდა მადრიდის „რეალში“. ოთხჯერ გახდა ესპანური ლიგის უპირველესი სნაიპერი: 1960 (26 გოლი), 1961 (27), 1963 (26) და 1964 (10) წლებში. 1965 წელს დაამთავრა თამაში „რეალში“, სადაც საბოლოო ანგარიშით 372 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 324 გოლი გაიტანა. 1962 წელს მონაწილეობდა ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატში ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში. სულ პუშკაშს ამ გუნდში 4 მატჩი აქვს ჩატარებული და 2 გოლი გატანილი.

1967 წლიდან პუშკაში პროფესიონალი მწვრთნელია. სათავეში ედგა სხვადასხვა კლუბს, მათ შორის აშშ-ს გუნდებს, ათენის „პანათინაიკოსს“, „მურსიას“, ათენის აეკ-ს, მუშაობდა საუდის არაბეთსა და ეგვიპტეში, ერთხანს უნგრეთის ნაკრებსაც ხელმძღვანელობდა. ისევე, როგორც მის მეგობარსა და პარტნიორ დი სტეფანოს, პუშკაშსაც მწვრთნელის ასპარეზზე რაიმე განსაკუთრებული წარმატება არა ჰქონია. რა თქმა უნდა, სულ სხვა იყო მისი, როგორც მოქმედი ფეხბურთელის კარიერა.



***ეუსებიო*** (ეუსებიო ფერეირა და სილვა) მრავალი მეტსახელით შეამკეს. მას „შავ მარგალიტს“ ეძახდნენ, „შავ ჯიქს“ და ა.შ., ზოგი კი „ევროპელ პელეს“ უწოდებდა. დაიბადა 1942 წლის 25 იანვარს მოზამბიკის ქალაქ ლორენსო მარკესში, დღეს რომ მაპუტო ჰქვია. თამაშიც იქვე დაიწყო „სპორტინგ კლუბში“ (1958-60), დიდი სახელი კი ლისაბონის „ბენფიკაში“ მოიპოვა, სადაც 1960 წელს გადავიდა და 15 სეზონის განმავლობაში ერთგულად ემსახურა. ბევრ მიმომხილველს ეუსებიო, თავისი მაღალი ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით, მართლაც პელეს აგონებდა. თამაშობდა უაღრესად სწრაფად, მაყურებლებს აჯადოებდა მისი იშვიათი მოქნილობა, ნახტომები, ჰაერში, თავით თამაშის უნარი, ცრუ მოძრაობა. იეუსებიოს ძლიერი და ზუსტი დარტყმა ჰქონდა, ხშირად შორიდან გაჰქონდა გოლი.

„ბენფიკაში“ დებიუტი ჰქონდა 1961 წლის 23 მაისს მადრიდის „ატლეტიკოს“ წინააღმდეგ. 1964-73 წლების განმავლობაში პორტუგალიის ლიგის საუკეთესო სნაიპერი იყო, 300-ზე მეტი გოლი გაიტანა. 1962 წელს მისი კლუბი „ბენფიკა“ ევროპის ქვეყნების ჩემპიონების თასს დაეუფლა. უკვე 1963 წელს ეუსებიომ ითამაშა მსოფლიო ნაკრებში ინგლისელების წინააღმდეგ, ხოლო ერთი წლის შემდეგ ევროპის ნაკრებში – იუგოსლავიელებთან (7-2) და სკანდინავიის გუნდთან (4-2). ამან ეუსებიოს დიდი სახელი მოუტანა და უკვე 1965 წელს ევროპის №1 ფეხბურთელად აღიარეს. 1966 წელს მონაწილეობდა ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც პორტუგალიელებს მესამე ადგილი ერგოთ, თვით ეუსებიომ კი 9 გატანილი გოლით ამ შეჯიბრების №1 სნაიპერის ჯილდო მიიღო. საერთოდ, პორტუგალიის ნაკრებში ექს-მოზამბიკელმა 67 მატჩი ჩაატარა და 40 გოლი გაიტანა. ორჯერ მიიღო ევროპის სნაიპერის პრიზი: 1968 წელს 42 ბურთით და 1973 წელს – 40 ბურთით.

ეუსებიოს ბრწყინვალე კარიერა „ბენფიკაში“ 1975 წელს დამთავრდა. წლებს თავისი გაჰქონდა, მაგრამ „შავი ჯიქი“ თამაშს თავს არ ანებებდა. 1975 წელს იგი აშშ-ს „ოკეანერსში“ გამოდიოდა, მომდევნო წელს – „ბოსტონს მინუტემანსა“ და „ტორონტო მეტროს კროატიაში“, ცოტა ხანს ისევ პორტუგალიაში დაბრუნდა „ფკ ბეირა მარში“ თამაშობდა და, შემდეგ ისევ აშშ-ს მიაშურა, თავისი კარიერა კი 1979 წელს მექსიკაში დაასრულა.

მას შემდეგ, რაც თამაშს თავი დაანება, მწვრთნელი გახდა, მაგრამ ამ სფეროში არც რაიმე პრეტენზია ჰქონია და არც რაიმე მიღწევა. მუშაობდა „ბენფიკაში“ ჭაბუკთა მწვრთნელად, იყო მთავარი მწვრთნელის თანაშემწეც და ა.შ. „ბენფიკას“ დღემდე კარგად ახსოვს, თუ როგორი სამსახური გაუწია ამ ნიჭიერმა თავდამსხმელმა.

### რივერა პირველია

იტალიაში ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად XX საუკუნის ქვეყნის №1 ფეხბურთელად მიჩნეულია 55 წლის ჯანი რივერა.

რივერამ 113 ხმა მოაგროვა და



ჩამოიტოვა ომამდელი ნაკრების ფეხბურთელი ჯუზეპე მეაცა (90). აი მომდევნო ადგილებიც: 3. ჯიაცინტო ფაკეტი (79), 4. ფრანკო ბარეზი (66). 5. სანდრო მაცოლა (53). 6. სილვიო პიოლა (46). 7. პაოლო როსი (27). 8. ლუიჯი რივა (26). 9. რობერტო ბაჯო (21). 10. გაეტანო შირეა (19). 11. პაოლო მალდინი (12). 12. რობერტო ბეტეგა (9) და 13. ჯანპიერო ბონიპერტი – 4 ხმა.

### იტალიის ყველა დროის მეკარე?

იტალიაში XX საუკუნის ყველაზე უკეთეს მეკარედ მიიჩნიეს დინო ძოფი. ეს მოსალოდნელიც იყო, მაგრამ აი ერთი „ეშმაკობაც“ – რეფერენდუმის შედეგად არ მიუთითეს რამდენი ხმა მოაგროვა ლაურეატმა,



(ბუნდოვნად დაწერეს – 148 ხმაზე მეტი). ეს იმიტომ, რომ, როცა ლაპარაკი იქნება XX საუკუნის უძლიერეს მეკარეზე, უკვე მთელი მსოფლიოს მასშტაბით (იგი 11 იანვარს გამოცხადდება), სხვა ქვეყნებმა რალაც სიყალბეს არ მიმართონ, როგორც ეს სხვადასხვა რეფერენდუმში არაერთხელ მომხდარა.

მეორე ადგილზეა ჯანპიერო კომბი (იტალიის ომამდელი ნაკრების მეკარე. მსოფლიო ჩემპიონი) – 49 ხმა. მესამე – ვალტერ ძენგა – 18 დანარჩენმა მეკარეებმა ხმების უმნიშვნელო რაოდენობა მოაგროვეს. ანჯელო პერუციმ – 13, ენრიკო ალბერტოზიმ – 12, ჯანლუკა პალიუკამ – 10, ჯულიანო სარტიმ – 7, ლორენც ბუფონმა – 3 ხმა.

### იოჰან კრუიფი პირველია ჰოლანდიაში

სპეციალური რეფერენდუმის შედეგად იოჰან კრუიფი 303 ხმით მიჩნეულია XX საუკუნის ჰოლანდიის №1 ფეხბურთელად.





მომდევნო ადგილებზე არიან 2. მარკო ვან ბასტენი (240). 3. რუუდ გულიტი (63). 4. დენის ბერხკამპი (14). 5. რუუდ კროლი (10). 6. რონალდ კუმანი (8).

### რებროვი – უკრაინაში საუკეთესო

გაზეთმა „უკრაინსკი ფუტბოლმა“ ქვეყნის 1998 წლის საუკეთესო ფეხბურთელად მიიჩნია კიევის „დინამოს“ მოთამაშე სერგეი რებროვი. მეორეა ამავე გუნდის წევრი ანდრეი შევჩენკო, მესამე – კიდევ ერთი მათი თანაკლუბელი ოლეგ ლუჟნი.

რებროვი 1996 წელს უკვე იყო არჩეული უკრაინის №1 ფეხბურთელად.





***რობერტ (ბობი) ჩარლტონი*** ფეხბურთის ისტორიაში შევიდა, როგორც სამაგალითო ინგლისელი ჯენტლმენი. წლების განმავლობაში იგი ქვეყნის ნაკრების ნამდვილი ბურჯი იყო.

დაიბადა 1937 წლის 11 ოქტომბერს აშინგტონში. დასაწყისში „პრესტონ ნორს ენდში“ თამაშობდა, 1952 წელს კი ნიჭიერი ჭაბუკი განთქმულმა მატ ბასბიმ „მანჩესტერ იუნაიტედში“ მიიწვია, რომელსაც მთელი თავისი ხანგრძლივი კარიერა დაუკავშირა. ძირითად შემადგენლობაში თამაშობდა 1956 წლის ოქტომბრიდან 1973 წლის 2 მაისამდე, 604 კალენდარული მატჩი ჩაატარა და 247 გოლი გაიტანა. დასაწყისში ბობი მარცხენა გარემარბი იყო, შემდეგ კი თანდათან შუა ხაზზე გადაინაცვლა. 1958 წლის 6 თებერვალს მიუნხენის აეროპორ-

იხ. მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დარჩა შესანიშნავი შვიდეული

(მეოთხე გვერდიდან)

ტში საშინელმა კატასტროფამ თითქმის მთელი „მანჩესტერ იუნაიტედი" იმსხვერპლა, მაგრამ თვით ბ. ჩარლტონი (ისევე, როგორც მწვრთნელი მატ ბასბი) რაღაც სასწაულით გადარჩა.

სულ ცოტა ხნის შემდეგ, 1958 წლის 19 აპრილს ბობი ჩარლტონს დებიუტი ჰქონდა ინგლისის ნაკრებში გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე" შოტლანდიელების წინააღმდეგ (4-0 სტუმრების სასარგებლოდ), სადაც დიდხანს, 1970 წლის 14 ივნისამდე დარჩა (მსოფლიო ჩემპიონატის მატჩი მექსიკაში გერმანელებთან, 2-3). ნაკრებში ჩარლტონმა 106 მატჩი ჩაატარა და გააუმჯობესა მანამდე არსებული ბილ რაიტის რეკორდი (105), ამასთან, 49 გოლი გაიტანა. ჩარლტონი გამოირჩეოდა სამაგალითო ტექნიკით, მანევრული თამაშით, უზუსტესი გადაცემებით, თავის თამაშის დიდი ხელოვნებით, ძლიერი დარტყმებით.

ჩარლტონი სამგზის მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატებში. 1962 წელს ჩილეში მან შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა როგორც მარცხენა გარემარბმა, 1966 წელს, როცა ინგლისელები მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ, დიდებულად წარმართავდა გუნდის იერიშებს, 1970 წელს მექსიკაში ასევე უნაკლოდ ასრულებდა დირიჟორის როლს. 1966 წელს აღიარეს №1 ფეხბურთელად არა მარტო ინგლისში, არამედ ევროპაშიც, 1968 წელს ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი გახდა. 1964 წელს ევროპის ნაკრების კაპიტანი იყო სკანდინავიის გუნდთან მატჩში, 1971 წელს კი მოსკოვში ითამაშა ლევ იაშინის გამოსათხოვარ შეხვედრაში, შეიყვანეს მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში (1950-70 წლების ოცწლეულის შედეგების გათვალისწინებით), 1984 წელს მიენიჭა ახლად დაარსებული ფიფას ორდენი.

მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედში" შეწყვიტა თამაში, 1973 წლიდან ორი სეზონის განმავლობაში გამოდიოდა „პრესტონ ნორს ენდში", სადაც დაიწყო მისი კარიერა. 1975-76 წლების სეზონში იქვე გახდა მისი მწვრთნელი. 1984 წლიდან მოყოლებული, დიდხანს იყო „მანჩესტერ იუნაიტედის" დირექტორი. დააარსა ფეხბურთელთა სკოლა, სადაც არაერთი მომავალი ჩინებული ოსტატი აღზარდა. ბობი ჩარლტონს ხშირად იწვევენ სხვადასხვა ქვეყანაში კონსულტაციების ჩასატარებლად. იგი ფეხბურთის სამყაროში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

გერმანიამ ბევრი შესანიშნავი ოსტატი მისცა ფეხბურთს, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება ***ფრანც ბეკენბაუერს*** (დაიბ. 1945 წლის 11 სექტემბერს მიუნხენ-გისლინგში). ფეხბურთის სამყარო მას იცნობს როგორც „კაიზერ ფრანცს".



1954 წელს თამაში დაიწყო „სკ 1906 მიუნხენში" 1958-77 წლებში გამოდიოდა მიუნხენის „ბაიერნში", 1977-80 წლებში – ნიუ-იორკის „კოსმოსში", 1980-82 წლებში კი „ჰამბურგერ შპორტფერაინში". ნაკრებში დებიუტი ჰქონდა 1965 წლის 26 სექტემბერს შვედების წინააღმდეგ სტოკჰოლმში (სტუმრებმა გაიმარჯვეს 2-1). უკვე 1966 წელს ბრწყინვალედ ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატში ინგლისში, სადაც მისი ნაკრები მეორე ადგილზე გამოვიდა, თვით ბეკენბაუერი კი ტურნირის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. ამას მოჰყვა ბეკენბაუერის გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარება 1966 და 1968 წლებში. 1968 წელს ითამაშა ფიფას ნაკრებში ბრაზილიის ნაკრების წინააღმდეგ და შევიდა ბოლო 20 წლის (1950-1970) მსოფლიოს სიმბოლურ ნაკრებში. ბეკენბაუერმა მოიპოვა უნივერსალური მოთამაშის სახელი. დასაწყისში იგი დიდებული ნახევარმცველი იყო და გოლებიც ხშირად გაჰქონდა, შემდეგ დაცვის ცენტრში გადაინაცვლა და დიდხანს, ძალიან დიდხანს იყო ნაკრების ნამდვილი ბურჯი. ყურადღებას იპყრობდა ბეკენბაუერის ფიზიკური მომზადება, დახვეწილი ტექნიკა, შესანიშნავი, მახვილგონივრული გადაცემები.

1972 და 1976 წლებში ევროპის №1 ფეხბურთელი გახდა, დასავლეთ გერმანიაში კი საუკეთესოდ აღიარეს ოთხჯერ. მონაწილეობდა მსოფლიოს სამ ჩემპიონატში. ეროვნულ ნაკრებში ჩაატარა 103 მატჩი და გაიტანა 14 გოლი. ეს ერთხანს იყო ეროვნული რეკორდი, ვიდრე ლოთარ მათეუსმა არ გადააჭარბა. 50 მატჩი ნაკრებში ფრანცმა კაპიტნის სამკლაურით ჩაატარა, ხოლო ამ გუნდს 1977 წლის 23 თებერვალს გამოეთხოვა (0-1 პარიზში ფრანგებთან).

დიდი წარმატებით გამოდიოდა მიუნხენის „ბაიერნში", 396 მატჩში43 გოლი გაიტანა, 16 მატჩი ჩაატარა „კოსმოსში" (4 გოლი), ასევე 16 – „ჰამბურგერ შპორტფერიანში" (2 გოლი).

1984 წელს დაჯილდოვდა ახლად დაარსებული ფიფას ორდენით". იმავე 1984 წლის სექტემბრიდან მიიწვიეს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელად, რაც გერმანიისათვის სრულიად უმაგალითო იყო თუნდაც იმიტომ, რომ ბეკენბაუერს მწვრთნელის ლიცენზია არა ჰქონდა. არჩევანი, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე გამოდგა, რადგან „კაიზერ ფრანცის" ხელმძღვანელობით გფრ-ის ნაკრები მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გამოვიდა, 1990 წლის ჩემპიონატში კი პირველი ადგილი მოიპოვა. ამის შემდეგ ბეკენბაუერს კონტრაქტი აღარ განუახლებია, ერთხანს მარსელის „ოლიმპიკის" ტექნიკური დირექტორი იყო, შემდეგ კი გერმანიაში დაბრუნდა და მიუნხენის „ბაიერნის" დირექტორატში დაიწყო მუშაობა, მცირე ხანს კლუბის მწვრთნელის მოვალეობასაც ასრულებდა, შემდეგ კი მისი პრეზიდენტი გახდა.

ჰოლანდიური ფეხბურთის ლეგენდა ***იოჰან კრუიფი*** დაიბადა 1947 წლის 25 აპრილს, ამსტერდამში გაიზარდა „აიაქსის" სტადიონთან ახლოს, სადაც დედამისი დამლაგებლად მუშაობდა. ათი წლიდან თამაშობდა ამ კლუბის სხვადასხვა ასაკობრივ გუნდში. 1973 წლამდე უდიდესი წარმატებით გამოდიოდა ამსტერდამელთა ამ უსაყვარლეს კლუბში, 1973-78 წლებში – „ბარსელონაში", 1978-79 წლებში – „ლოს ანჯელეს აცტეკში", 1980-81 წლებში – „ვაშინგტონ დიპლომატსში", 1981 წელს – ესპანურ „ლევანტეში", 1982 წელს კვლავ „აიაქსს" დაუბრუნდა, 1983-84 წლების სეზონში კი როტერდამის „ფეიენოორდში" გამოდიოდა.

კრუიფმა, ამ მაღალტექნიკურმა, სწრაფმა და მეტად შედეგიანმა თავდამსხმელმა, „აიაქსში" თამაშთან ერთად დიდად გაითქვა სახელი ჰოლანდიის ნაკრებში, სადაც დებიუტი ჰქონდა 19 წლის ასაკში, 1966 წლის 7 სექტემბერს (2-2 როტერდამში უნგრელებთან). 1974 წელს საყოველთაო ყურადღება მიიპყრო მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც ჰოლანდიელები მეორე ადგილზე გავიდნენ. 1976 წელს ითამაშა ევროპის ჩემპიონატში. 1967 და 1972 წლებში ჰოლანდიის ლიგის №1 სნაიპერი გახდა, სულ კი 201 გოლი გაიტანა. ექვსჯერ (1967, 1968, 1969, 1971, 1972 და 1974 წლებში) გახდა ჰოლანდიის №1, სამჯერ კი (1971, 1973 და 1974) – ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი.

ჰოლანდიის დედოფალმა იულიანამ



იოჰან კრუიფი

დააჯილდოვა საპატიო ლეგიონის რაინდის ორდენით.

კრუიფი ჰოლანდიის ნაკრებში, რომელიც ტოტალურ ფეხბურთს თამაშობდა, წლების განმავლობაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებდა. იგი რამდენიმე სეზონის განმავლობაში პირდაპირ უბადლო თავდამსხმელად ითვლებოდა, რომლის ნეიტრალიზება პირდაპირ გადაუჭრელ პრობლემად რჩებოდა მეტოქეს.

„შესანიშნავ შვიდეულს შორის იოჰან კრუიფი ერთადერთია, რომელმაც თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია, როგორც მწვრთნელმა; დასაწყისში, 1984 წლიდან იგი „როდას" (კერკრედე) ტექნიკური დირექტორი იყო, 1985 წელს იგივე თანამდებობაზე მუშაობდა ამსტერდამის „აიაქსში". 1986 წლიდან უკვე „აიაქსის" მთავარი მწვრთნელი გახდა და ეს კლუბი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გახადა. შემდეგ „ბარსელონაში" გადავიდა და აქაც დიდი მიღწევები ჰქონდა. პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა მისი ვაჟი ჰორდი, რომელიც ახლა ინგლისში თამაშობს.

თვით იოჰანს, „ბარსელონაში" მოპოვებული არაერთი ტრიუმფის მიუხედავად განხეთქილება მოუვიდა კლუბის მფლობელ ნუნიესთან, რომელიც, მისი აზრით, სრულიად გაუმართლებლად ერეოდა მწვრთნელის ფუნქციებში. ამას საბოლოო ანგარიშით, ჰოლანდიელი მწვრთნელის გადადგომა მოჰყვა კრუიფი დაავადდა, გულის ორი ინფარქტი გადაიტანა და გამოჯანმრთელებას დიდი დრო დასჭირდა.

კრუიფი კვლავინდებურად ბარსელონაში ცხოვრობს. მასთან მოლაპარაკება აქვს რამდენიმე კლუბს. თუ სად იმუშავებს ეს პოპულარული მწვრთნელი, ჯერჯერობით ცნობილი არ არის. არ გამორიცხავენ მის მიწვევას ჰოლანდიის ნაკრების ხელმძღვანელად.



მიშელ პლატინი

როცა საფრანგეთის ყველაზე უფრო სახელოვან ფეხბურთელზეა ლაპარაკი, გამოჰყოფენ არა რაიმონ კოპას, ჟიუსტ ფონტენს ან ჟან-პიერ პაპენს, არამედ უდავო უპირატესობას ***მიშელ პლატინის*** (დაიბ. 1955 წლის 21 ივნისს) ანიჭებენ. ამ დიდებულმა ნახევარმცველმა, რომელიც ამასთან ერთად სნაიპერიც იყო, მართლაც იშვიათ წარმატებებს მიაღწია.

1972-79 წლებში პლატინი (კორსიკული წარმოშობის ფრანგი) „ნანსიში" თამაშობდა, 1979-82 წლებში – „სენტ-ეტიენში". შემდეგ კი ტურინის „იუვენტუსში", რომელიც წლების განმავლობაში წარმოუდგენელი იყო უიმისოდ. მონაწილეობდა მსოფლიოს 1978, 1982 და 1986 წლების ჩემპიონატებში, თანაც ორ ბოლო პირველობაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი. 1983, 1984 და 1985 წლებში, ზედიზედ სამჯერ ევროპის №1 ფეხბურთელი გახდა, „ფრანს ფუტბოლის" ჯილდო „ოქროს ბურთი" მოიპოვა, 1977 წელს საფრანგეთის №1 ფეხბურთელი გახდა, 1984 და 1985 წლებში კი იტალიის №1 ფეხბურთელი. სამჯერ მოიპოვა იტალიის ლიგის სნაიპერის პრიზი: 1983 (16 გოლი), 1984 (20) და 1985 (18) წლებში.

მრავალგზის შედიოდა სხვადასხვა იტალიურ ნაკრებში. 1985 წელს საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა მიტერანმა გადასცა „საპატიო ლეგიონის" ორდენი. მისი გამოსახულება დაიდგა პარიზის ცვილის ფიგურების მუზეუმში.

1992 წლის ევროპის ჩემპიონატის წინ მიშელ პლატინის, რომელსაც მწვრთნელად მუშაობის გამოცდილება და ლიცენზიაც არა ჰქონდა, შესთავაზეს საფრანგეთის ნაკრების ხელმძღვანელის პოსტი. ყველაფერი კარგად დაიწყო: ნაკრებმა მოიგო ყველა შესარჩევი მატჩი და შვეციის საგზური მოიპოვა. ფინალში განცდილი სერიოზული მარცხის შემდეგ პლატინიმ შაწყვიტა ნაკრებში მუშაობა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის თანამშრომელი გახდა. შემდეგ მას დაევალა მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატისათვის მომზადება, იყო საორგანიზაციო კომიტეტის თანათავმჯდომარე და ეს ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა.

**ჩვენ მოკლედ გადავავლეთ თვალი ამ შვიდი „საფეხბურთო უდიდებულესობის" მიღწევებს. ვის შეიძლება მიენიჭოს უპირატესობა? ვინ იცის! თუმცა, რატომ „ვინ იცის"? 11 იანვრამდე, ხომ დიდი დრო აღარ დარჩა.**

ბივი ბამრეკელი

## მოკლედ ნომრიდან – ნომრამდე

● **გერმანიის** ერთ-ერთმა უძლიერესმა მეკარე შტეფან კლოსმა დორტმუნდის „ბორუსიაში" 10 წელი გაატარა, ახლა კი შოტლანდიის „გლაზგო რეინჯერსში" გადადის. მისი სატრანსფერო თანხა 700 ათასი გირვანქა სტერლინგია (მილიონ ასსამოცდაათი ათასი დოლარი).

● **ესპანური** „ელ პაისის" ცნობით, იუგოსლავიის ნაკრებისა და ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" თავდამსხმელი პერიცა ოგნიენოვიჩი (გახსოვთ, ალბათ, მან ამ ზაფხულს ფოთის „კოლხეთი-1913"-ის წინააღმდეგ ითამაშა) კარიერას მადრიდის „რეალში" გააგრძელებს. იუგოსლავიური კლუბი ფეხბურთელში 750 მილიონ პესეტას (5,27 მილიონი დოლარი) მიიღებს.

● **იტალიური** პრესა იტყობინება, რომ „მილანის" ფრანგი ნახევარმცველის იბრაჰიმ ბას „ნიუკასლში" გადასვლის ტრანსფერი შეჩერებულია. მიზეზად მის ჯანმრთელობას ასახელებენ. საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე ინგლისური კლუბის მწვრთნელმა რუუდ გულიტმა განაცხადა, რომ მილანი ფეხბურთელში 9 მილიონამდე დოლარს ითხოვდა და კიდევ კარგი ეს თანხა ქარს არ გავატანეთო.

● **კატალონიის** დედაქალაქ ბარსელონას „მონტხუიკის" სტადიონზე დიდი არეულობა მოხდა მას შემდეგ, რაც ამხანაგურ მატჩში კატალონიის ნაკრებმა ნიგერიის ეროვნულ გუნდს სძლია 5-0. სიხარულისგან აღტაცებულმა მაყურებელმა სტადიონს 200 ათას დოლარზე მეტი ზარალი მიაყენა: დალეწილია ათასამდე ინდივიდუალური სავარძელი, ჩამსხვრეულია მინები, ცუდ დღეშია სათამაშო მინდორი, რომელზედაც 2000 კატალონიელი გამარჯვებას ზეიმობდა.

● **კოლუმბიელი** ვარსკვლავი ფაუსტინო ასპრილია, გახსოვთ, საფრანგეთის მონდიალის მსვლელობისას ეროვნული ნაკრებიდან გააძევეს, მაგრამ ამ დღეებში მას „ამნისტია" გამოუცხადეს და კვლავ გამოიძახეს შეკრებაზე. კოლუმბიის ნაკრები იანვარში ამხანაგურ მატჩში დანიის გუნდს მასპინძლობს და სწორედ მასში მიიღებს მონაწილეობას ასპრილია. აღსანიშნავია, რომ ეს შეხვედრა სადებიუტო იქნება კოლუმბიელთა მწვრთნელის ხავიერ ალვარესისათვის. იტყობინებიან აგრეთვე, რომ ნაკრებში აღარ გამოიძახეს ვეტერანი კარლოს ვალდერამა, რომელმაც ოფიციალურად განაცხადა, რომ თავს ანებებს ფეხბურთს.

● **11 იანვარს** გერმანიაში გამოავლენენ წლის რჩეულ მწვრთნელს. ამ ნომინაციაში ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ შემდეგი კანდიდატები დაასახელა: ემე ჟაკე (საფრანგეთი), მარიო ზაგალო (ბრაზილია), მიროსლავ ბლაჟევიჩი (ხორვატია), გუუს ჰიდინკი (ჰოლანდია), ბერტი ფოგტსი (გერმანია), დანიელ პასარელა (არგენტინა), იოზეფ ხოვანეცი (ჩეხეთი), ჩეზარე მალდინი (იტალია), გლენ ჰოდლი (ინგლისი), სლობოდან სანტრაჩი (იუგოსლავია), ანგელ იორდანესკუ (რუმინეთი), ხავიერ კლემენტე (ესპანეთი), ანრი მიშელი (საფრანგეთი), ეგილ ოლსენი (ნორვეგია), მაჰმუდ ელ-გოჰარი (ეგვიპტე), მასილელე სონო (სამხრეთ აფრიკა) მანუელ ლაპუენტე (მექსიკა), სტივენ სიმპსონი (აშშ), კენეტ დაგდეილი (ახალი ზელანდია), პოლ ბლანკო (ავსტრალია).

● **ფეხბურთის** ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა XX საუკუნის რჩეული სნაიპერ-მეკარეების სია, ამასთან, მხედველობაში მიღებულია მხოლოდ ის გოლები, რომლებიც გოლკიპერებმა ოფიციალურ მატჩებში — ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს დივიზიონში, საერთაშორისო შეჯიბრებებში ან ნაკრები გუნდების შეხვედრებში გაიტანეს.

გამოკითხვაში პირველ ადგილზე 38 გოლით გავიდა პარაგვაის ნაკრებისა და „ველეს სარსფილდის" მეკარე ხოსე ლუის ჩილავერტი, მეორეა მექსიკელი ხორხე კამპოსი (35), მესამე — კოლუმბიელი რენე იგუიტა (33).

როგორც ხედავთ, სამივე მეკარე მოქმედი ფეხბურთელია და საუკუნის დამთავრებამდე კიდევ შეუძლიათ გაიუმჯობესონ მაჩვენებლები.

## ინფორმაცია



● ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად გაბრიელ ბატისტუტა, გილერმო სკელოტო და მარტინ პალერმო არგენტინის 1998 წლის საუკეთესო ფეხბურთელები არიან.

● პორტუგალიის საფეხბურთო ლიგამ „სპორტინგი" [illegible] რათა ისინი მოემსახურონ პორტუგალიის ჩემპიონატის მატჩებს თავისი გუნდის მონაწილეობით, ვინაიდან კლუბის ხელმძღვანელობა სხვა გზას ვერ ხედავს „სპორტინგზე" ზეწოლის ასარიდებლად.

● გერმანელი პეტერ შნიტგერი დანიშნეს სენეგალის ფეხბურთელთა ნაკრების ახალ მწვრთნელად, ნიგერიის ნაკრების ექს-მწვრთნელი კლემენს ვესტერჰოფი ზიმბაბვეს ნაკრებს ჩაუდგება სათავეში.

● ვენესუელის ეროვნული ნაკრები გუნდისა და კოლუმბიის ქ. კალის „დეპორტივოს" მეკარე რაფაელ დუდამელი კოლუმბიის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

# რა ხდება ქვეყანაზე

## საბონისი დაბრუნდება:

რა დაუჯდება ნბა-ს მოთამაშეების ლოკაუტი, რომელიც რამდენიმე თვის წინათ დაიწყო და კვლავ გრძელდება, ისტორიის განსასჯელია. დღეს კი კალათბურთელები ზედიზედ ტოვებენ ლიგას. პირველი ლტოლვილები, რომელთა რიცხვი თანდათან იზრდება, ჯერ კიდევ ნოემბრის დასაწყისში „დაიძრნენ". როგორც ვარაუდობენ (მადრიდის გაზეთი „ელ პაისი") გამორიცხული არაა, რომ მათ რიცხვს შეუერთდეს და კვლავ „რეალში" აღმოჩნდეს დიდი ლიტველი ცენტრი არვიდას საბონისი. და, რაც მალე მოხდება ეს, მით უკეთესი, ვინაიდან სამეფო კლუბი მხოლოდ გამარჯვებისათვის იბრძვის ქვეყნის ჩემპიონატსა და ევროლიგაში. განაცხადების მიღების ვადა კი 4 იანვარს მთავრდება. არის კიდევ სხვა პრობლემაც, რომ არვიდას, რომელიც ევროპის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ღირსებას უკვე იცავდა და დიდად დაეხმარა მას მერვედ მოეპოვებინა კონტინენტის ჩემპიონთა თასი 1995 წელს, ჯერ კიდევ მოქმედი კონტრაქტი აქვს „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერის" გუნდთან.



კი, ნბა-ში ლოკაუტის გამო ლიგის კალათბურთელები ევროპისკენ მიემგზავრებიან, მაგრამ მხოლოდ ისინი, ვისაც „თავისუფალი აგენტის" სტატუსი აქვს. „პორტლენდთან" შეთანხმება, რომლის მიხედვით საბონისი ჩემპიონატში 3080 ათას დოლარს ღებულობს, 2000-2001 წლების სეზონის დამთავრებამდე ძალაშია. იმასაც აღნიშნავენ, რომ საბონისი ესპანელთა მიწვევაზე ჯერ უარს ამბობს, მაგრამ მაინც იმედოვნებენ, რომ კალათბურთელი გადაიფიქრებს.

## რეიტინგი და ათასები – დოპინგის ფასად

მსოფლიოს ჩოგბურთელთა რეიტინგ-ლისტში მე-13 ადგილზე მყოფ ჩეხ პეტერ კორდას ამ ადგილის დაკარგვასთან ერთად 95 ათასი დოლარი დაუჯდა დოპინგის მიღება. ანალიზმა ცხადჰყო, რომ უიმბლდონის ტურნირზე მას აკრძალული სტეროიდის – ნადრონოლის კვალი აღმოაჩნდა. საერთაშორისო ფედერაციამ საკმაოდ ლიბერალური სასჯელი დაადო ჩოგბურთელს – ჩამოაკლო 199 სარეიტინგო ქულა და 95 ათასი დოლარი, რომელიც უიმბლდონის ტუნისის ფინალში გასვლისათვის მიიღო. შეეძლოთ მისთვის ავსტრალიის შარშანდელი ღია ჩემპიონატის გამარჯვებულის სახელი ჩამოერთმიათ. თუმცა უიმბლდონის ტურნირის ორგანიზატორები არ გამორიცხავენ კორდასთვის განსაკუთრებული სანქციების დადებას მომავალი არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატზე ბლატის კორტებზე.

## ყველაზე იღბლიანი...

მადრიდის კლუბ „რეალის" პრეზიდენტი ლორენსო სანსი მეექვსე წელიწადია ზედიზედ აღიარებულია ესპანეთში ყველაზე იღბლიან სადოლე ცხენების მფლობელად: სანსის იორღებმა 1998 წელს ყველაზე მეტი შემოსავალი მოუტანეს.

## რუსეთის საუკეთესონი

ყოველკვირეულმა გაზეთმა „სპორტივნაია მოსკვამ" 25-ედ დაასახელა წლის საუკეთესო მოსკოველი სპორტსმენები: ბორის ამბარცუმოვი ( ბ/რ ჭიდაობა), ალინა კაბაევა (მხატვრული ტანვარჯიში), ვასილი კარასიოვი (კალათბურთი) ბორის კოკორიევი (ტყვიის სროლა), ალექსანდრ ლებზიაკი (კრივი), ირინა პრივალოვა (მძლეოსნობა), ელენა სოკოლოვა (ფიგურული ციგურობა), ოლგა სედაკოვა (სინქრონული ცურვა), ეგორ ტიტოვი (ფეხბურთი), სერგეი შელესტოვი (ბოდიბილდინგი).

## ისევ ის ტაისონი იქნება?

ტომი ბრუკსს, რომელიც ამას წინათ ცნობილი ამერიკელი მძიმეწონოსანი მოკრივის მწვრთნელი გახდა, სურს კრივის მოყვარულებს ისევ ძველი „რკინის მაიკი" წარუდგინოს. იგი ცდილობს შეგირდს აღუდგინოს „საშინელი დამანგრეველი მანქანის" სახელი, როგორიც იგი რამდენიმე წლის წინათ იყო. საგულისხმოა, რომ ტაისონამდე ბრუკსი წვრთნიდა ევანდერ ჰოლიფილდს, რომელმაც ორჯერ დაამარცხა ტაისონი.




## „ტოტო-ლოტო" – მოთამაშეთა სიხარული!

*27 დეკემბერს ჩატარდა ლატარია „ლოტო 6-42", თანმხლები „სუპერ-7" ტირაჟის ოცდამეთხუთმეტე გათამაშებით.*

**«ლოტო 6-42»**-ის მოგებახვედრილი რიცხვებია:
**8. 10. 19. 23. 35. 38.**
6 ციფრი ვერავინ გამოიცნო.
5 ციფრი – 344.80 ლარი.
4 ციფრი – 11.70 ლარი.
3 ციფრი – 1.70 ლარი.

**„ჯეკ-პოტი" 36 526 ლარი გადავიდა მომდევნო ტირაჟის საპრიზო ფონდში.**

**„სუპერ-7"**-ის მომგებიანი ციფრებია: **7. 7. 1. 5. 4. 5. 1.**
**შემდეგი,** 01 ტირაჟი შედგება 1999 წლის 10 იანვარს, ჯეკ-პოტი **36 526** ლარი.
***ითამაშეთ ლატარია ტოტო-ლოტო! იგი თქვენი გამდიდრების შანსია! გისურვებთ წარმატებას!***

საქართველოს სპორტის ეროვნული ფონდი

## სპორტი ცისფერ ეკრანზე

29 დეკემბერი – 3 იანვარი

**29 დეკემბერი, სამშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საფეხბურთო მიმოხილვა (12.20). „ასპარეზი" (21.50). ***იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.00; 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავები" (17.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. REN TV.*** „სპორტკურიერი" (21.45; 0.35). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე (15, 05; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** ჭადრაკის გაკვეთილი (8.05; 16.10). ტაილანდური კრივი (9.15). ამერიკული ფეხბურთი (10.10; 14.30; 18.45). სპორტული ცეკვა (13.35). სუპერბლიცი: კასპაროვი – კრამნიკი (17.10). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.15). მატჩი: „ჩელსი" – „მანჩესტერი" (23.55). ***ESPN.*** ბილიარდი (3.00; 2.00). კალათბურთი (4.00). ჰოკეი (5.30). კარატე (6.30). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატი (7.30). აზიური ფეხბურთი (9.30; 16.30). სპორტული ცენტრი (10.30; 16.00; 18.00; 22.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (11.30; 14.00). ცხენოსნობა (13.30). რაგბი (17.00). პლაჟის ფეხბურთი (17.30). ფიგურული ციგურაობა (20.00). ჰოლანდიური ფეხბურთი (22.30). კრივი (0.30). ***EUROSPORT.*** სათხილამურო კროსი (13.30; 21.45). სამთო თხილამურები (14.00; 15.00; 19.30). ფეხბურთი (16.30; 1.30). მოტოსპორტი (17.30). ტრიატლონი (18.00). ტრამპლინიდან ხტომა (20.30). კარტინგი (3.30).

**30 დეკემბერი, ოთხშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.00, 19.25). ***კავკასია.*** „ვარსკვლავი" (18.45). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.55). ***რუსეთის ტელევიზია. ТВ центр.*** „ფეხბურთი დიალოგებში" (12.15), „ავტო და მოტო-სპორტის სამყაროში" (2.15). ***REN TV.*** „სპორტკურიერი" (21.45; 0.55). ***ACT.*** „სპორტი ყოველდღე" (15.05; 22.40). ***НТВ плюс спорт.*** მაგიდის ჩოგბურთის გაკვეთილი (8.05; 16.15). ინგლისის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (9.05; 10.10). კარატე (12.00). ველოსპორტი (14.35). საზაფხულო ექსტრემალური თამაშები-98 (17.15). ბლიცი: კასპაროვი-კრამნიკი (19.15). სტენლის თასის რეტროსპექტივა (22.15). ზამთრის შოუ (1.10). ***ESPN.*** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი (4.00). ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (6.00). ფიგურული ციგურაობა (8.00; 20.00). სპორტული ცენტრი (10.30; 16.00; 18.00; 22.00). ველოსპორტი (11.30). ჰოკეი (12.00; 14.50). კარატე (16.30). პლაჟის ფეხბურთი (17.30). მოტოსპორტი (22.30), კრივი (23.00). კარატე (0.30). ბილიარდი (1.30). ***EUROSPORT.*** სათხილამურო კროსი (13.30). ტრამპლინიდან ხტომა (14.00; 20.00). რალი (15.00). ფეხბურთი (18.00; 3.00). კარტინგი (22.00). ცხენოსნობა (23.00). ჩოგბურთი (0.30). სუმო (2.00).

**31 დეკემბერი, ხუთშაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.00; 19.25). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.05). ***რუსეთის ტელევიზია. НТВ плюс спорт.*** სამთო თხილამურების გაკვეთილი (8.05; 16.10). ჰოკეი (8.45; 21.30). ჩოგბურთი (13.35). ჭადრაკი (15.05; 18.25). საზაფხულო ექსტრემალური თამაშები-98 (16.25). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (20.05). ფიგურული ციგურაობა (22.15). ***ESPN.*** ჰოკეი (3.30). ფეხბურთი: მსოფლიოს ნაკრები – „სკუადრა აძურა" (6.40, 23.30). აზიის მოტოსპორტი (9.00; 15.30). სპორტული ცენტრი (9.30; 16.00; 22.00). კალათბურთი (15.30; 16.30; 18.00). ფიგურული ციგურაობა (20.00). ჰოლანდიური ფეხბურთი (11.30). ბილიარდი (1.30). ***EUROSPORT.*** ტრიატლონი (13.30). ტრამპლინიდან ხტომა (15.00). ბოულინგი (15.30). რალი (18.00). ფიგურული ციგურაობა (20.30). სუმო-95 (0.00). მოტოსპორტი (1.00, 4.30).

**1 იანვარი, პარასკევი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.00; 19.25). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.00). ***რუსეთის ტელევიზია. REN TV.*** „სპორტკურიერი" (20.15). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეის გაკვეთილი, (10.05; 16.10). ლათინოამერიკული ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მატჩების მიმოხილვა (10.50). ფიგურული ციგურაობა (11.15). მაგიდის ჩოგბურთი (13.35). ჰოკეი (14.30; 16.10; 21.00; 1.10). სპორტული ტანვარჯიში (17.25). საზაფხულო ექსტრემალური თამაშები-98 (18.00). ტაილანდური კრივი (20.15). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (22.45). ***ESPN.*** ჰოკეი (3.30). ევროპული ფეხბურთი (6.30; 0.30). ფიგურული ციგურაობა (7.30; 20.00). სპორტული ცენტრი (9.30; 10.30; 16.00; 18.00; 22.00). კალათბურთი (11.30; 13.30). პლაჟის ფეხბურთი (15.30). კარატე (17.00; 2.30). ცხენოსნობა (22.30). ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი (23.00). კრივი (23.30). ***EUROSPORT.*** ტრამპლინიდან ხტომა (14.00; 20.30; 4.30). სამთო თხილამურები (15.00; 19.30). ფეხბურთი (16.30). მოტოსპორტი (23.00). რალი (1.30; 4.00). ბოულინგი (2.00). ექსტრემალური სპორტი (3.00).

**2 იანვარი, შაბათი**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.00; 19.25). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.45). ***რუსეთის ტელევიზია. REN TV.*** სპორტული მიმოხილვა (2015). ***ACT.*** წლის სპორტული შედეგები (20.10). ***НТВ плюс спорт.*** სამთო თხილამურების გაკვეთილი (10.40; 16.10). ბრაზილიის საფეხბურთო ჩემპიონატის საუკეთესო მატჩები (10.55). სტენლის თასის რეტროსპექტივა (13.40). მაგიდის ჩოგბურთი (16.30). ამერიკული ფეხბურთი (17.35). ჭადრაკი (18.15). საზაფხულო ექსტრემალური თამაშები-98 (19.25). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (23.55). ***ESPN.*** კრივი (3.00). რაგბი (6.30). ცხენოსნობა (7.00; 16.30). ფიგურული ციგურაობა (7.30; 20.00). სპორტული ცენტრი (9.30; 10.30; 16.00; 22.00). კალათბურთი (11.00; 22.30). ჰოკეი (10.30; 14.20). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (15.00). პლაჟის ფეხბურთი (15.30). ევროპული ფეხბურთი (17.00). აზიური ფეხბურთი (23.00). კარატე (2.30). ***EUROSPORT.*** სამთო თხილამურები (13.00; 15.30; 16.00; 19.30). ტრამპლინიდან ხტომა (14.00; 17.00; 20.30). ბიატლონი (18.30). გასართობი სპორტი (22.00). უმაღლესი პილოტაჟი (22.30). კრივი (0.30). რალი (1.30; 4.30). სნუკერი (3.00).

**3 იანვარი, კვირა**
***საქართველოს ტელევიზია. იბერია.*** „ბურთი და მოედანი" (9.00; 19.25). ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (20.15). ***რუსეთის ტელევიზია. РТР.*** სპორტი, წლის შედეგები (17.55). ***НТВ плюс спорт.*** ჰოკეი (10.55; 20.45). ამერიკული ფეხბურთი (13.45; 23.35). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩი (16.10). მაგიდის ჩოგბურთი (18.00). საჭადრაკო მიმოხილვა (20.35). ***ESPN.*** აზიური ფეხბურთი (3.00). კალათბურთი (4.00; 9.00; 11.30; 15.30). ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი (7.00; 22.30). სპორტული ცენტრი (10.30; 16.00; 22.00). რაგბი (16.30). ბილიარდი (18.00) ევროპული ფეხბურთი (0.30). კარატე (2.30). ***EUROSPORT.*** სამთო თხილამურები (13.00; 15.00; 15.30; 19.30). ტრამპლინიდან ხტომა (14.00; 16.30; 20.30; 3.00). კომბინირებული თხილამურები (18.30). კარტინგი (22.30). „ჩვენ გვიყვარს ფეხბურთი" (23.30). რალი (1.30; 4.00). „ჩვენ გვიყვარს მოტოსპორტი" (2.00). ***THT.*** ნჰლ-ის საუკეთესო მატჩები (1.20).

**საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი თანაგრძნობას უცხადებს თბილისის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსს ვლადიმერ კანკავას სიდედრის გარდაცვალების გამო.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს ამავე სამმართველოს უფროსს ვლადიმერ კანკავას სიდედრის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს მოჭიდავეთა საზოგადოება „რაინდი" თანაგრძნობას უცხადებს ვლადიმერ კანკავას სიდედრის გარდაცვალების გამო.**

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი თანაუგრძნობს ვლადიმერ კანკავას სიდედრის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს რკინიგზელთა სპორტული კლუბი „ლოკომოტივი" თანაუგრძნობს ვლადიმერ კანკავას სიდედრის გარდაცვალების გამო.**

**გაზეთ „ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს და სამძიმარს უცხადებს ვლადიმერ კანკავას სიდედრის გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ტანვარჯიშის ფედერაცია და გ. ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სასპორტო სკოლა თანაგრძნობას უცხადებენ ვლადიმერ კანკავას სიდედრის გარდაცვალების გამო.**

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა 1999 წლის 5 იანვარს.

## საახალწლო კროსვორდი

„გავიხსენოთ 1998 წელი"












**თარაზულად:** 5. ქვეყანა, რომლის ნაკრებსაც სძლიეს ამას წინათ ქართველმა ფეხბურთელებმა, 6. ქალაქი, ავადმოსაგონარი თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებისათვის, 8. მონდიალი-98-ში თავგამოჩენილი მეკარე, 11. იგივე ასპარეზობაში, ერთ-ერთი რჩეული მცველი, 14. საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ამ მცველისთვის ეს წელი უიღბლო გამოდგა, 15. ამ სოფელს მოკრივემ გაუთქვა სახელი, 16. ბელგიური საფეხბურთო კლუბი, რომელმაც ქუთაისელები დაჯაბნა, 17. სახალხო გმირი, 21. ერევნის ამ სასტუმროში ჩერდებოდნენ სტუმრად ჩასული ფეხბურთელები და გულშემატკივრები, 22. მონდიალი-98-ში მონაწილე ჰოლანდიელი ფეხბურთელი *(ფოტო)*, 23. საქვეყნოდ ცნობილი ავტოდრომი, სადაც ყოველწლიურად იმართება „ფორმულა-1"-ის ეტაპები, 26. ამ ვეტერანი ფეხბურთელის თასს ყოველწლიურად ეცილებიან ქართველი მოზარდები, 27. ეკრანებზე წელს პირველად გამოსულ ამ ფილმს დიდი წარმატება ხვდა წილად, 28. ბოლო ხანს აღზევებული ბელგიური საფეხბურთო კლუბი.

**შვეულად:** 1. მონდიალი-98-ის მსვლელობისას გუნდიდან გარიცხული კოლუმბიელი ფეხბურთელი, 2. საწყლოსნო სპორტის ამ მეცენატის თაოსნობით საქართველოში წელსაც ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება, 3. ამ დღეებში „სამპდორიას" სათავეში ჩამდგარი ინგლისელი ვეტერანი ფეხბურთელი, 4. „სკუადრა აძურას" 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი *(ფოტო)*, 7. ქართული კლუბი, რომელმაც წელს გადასასვლელ მატჩში ვერ ივარგა, 9. ამის გამო ატყდა სკანდალი „ტურ დე-ფრანსზე", 10. „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი, საქართველოს ნაკრების რისხვა, 13. ეს გერმანელი ფეხბურთელი მონდიალი-98-ის მიღმა დარჩა, 13. უწესრიგობა, ქაოსი, 18. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრილი დანიური საფეხბურთო კლუბი, 19. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, რომელმაც წელს მოსკოვის კრემლის თასი მოიგო *(ფოტო)*, 20. ტერმინი ველოსპორტში, 24. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, რომელიც წელს სათავეში ჩაუდგა „ოდიშს", 25. შოთა არველაძის და გიორგი ქინქლაძის თანაგუნდელი ნიგერიელი ფეხბურთელი.

## საჭადრაკო ამოცანა

ო. მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:**
**1. ლa1! 1. ...ეa3 2. baX.**
**1. ...ე:b5 2. b4X. 1. ...ეb4 2. b3X.**
**1. ...ეc3 2. bcX. 1. ...ე:b2 2. ლ:b2X.**
**1. ...კc4 2. მf5X. 1. ...კ – 2. ეd5X.**
**1. ...d2 2. მc2X.**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. იაშვილი, 7. ალფონსო, 8. ასანოვიჩი, 11. სინაუ, 12. ბატსი, 13. დანდი, 16. პესოტო, 17. „გრემიო", 21. დანია, 22. თელია, 23. სკალა, 26. „ტოტენჰემი", 27. დარსაძე, 28. კრიკეტი. **შვეულად:** 1. ლაბადია, 2. ხლუსი, 3. ილიჩი, 4. ასტრადა, 6. პროსტი, 9. დარასელია, 10. „სალამანკა", 14. ვოტრო, 16. ცორკი, 18. ნახტავაი, 19. ბლანკო, 20. ალკორტა, 24. ზოიძე, 25. ამორი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" საგამგეო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე